№ 47
(11 196)
17 – 19 ივნისი, 1998 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ბრაზილია – მაროკო 3-0
# შოტლანდია – ნორვეგია 1-1

დღეს, 17 ივნისს, ჩილე – ავსტრია 19.30
იტალია – კამერუნი 23.00

## საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მარკიზ ხუან ანტონიო სამარანჩის
# მ ი მ ა რ თ ვ ა



ოლიმპიური მოძრაობის სახელით, მსურს ჩემი გულითადი მისალმება და საუკეთესო სურვილები გადმოგცეთ ყველა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და მონაწილეებს, რომლებიც წელს აღნიშნავენ ტრადიციული ოლიმპიურ დღეს. როგორც ყველა თქვენგანს მოეხსენება, ოლიმპიური დღე ეძღვნება ბარონ პიერ დე კუბერტენის მიერ 1894 წლის 23 ივნისს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნებას პარიზში, საფრანგეთი.

არსებობის საუკუნეზე მეტ პერიოდში ოლიმპიური მოძრაობა საწყისი 14 წევრიდან მკვეთრად გაიზარდა და დღეს იგი 198 ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს აერთიანებს. ოლიმპიური რბენის დღის მონაწილენი ერთიანდებიან ღონისძიებაში, რომელიც ადგილობრივ და ეროვნულ ფარგლებს სცილდება და მთელს მსოფლიოს მოიცავს, სპორტისა და ოლიმპიური იდეალების მეშვეობით ამკვიდრებს მშვიდობის, მეგობრობისა და სოლიდარობის საყოველთაო სულისკვეთებას...

ეს ღონისძიება ჩვენთვის შესანიშნავი საშუალება იქნება, რათა ღრმად ჩავწვდეთ ოლიმპიური მოძრაობის საწყისებსა და მის იდეალებს, რაც ანტიკურ ხანასა და ქალაქ ოლიმპიაში იღებს სათავეს, იქ, სადაც პირველად ჩატარდა ოლიმპიური თამაშები და დღესაც გრძელდება ოლიმპიური ჩირაღდნის ანთებისა და თამაშების წინ ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქამდე მისი შემდგომი მოგზაურობის ტრადიცია. ყოველწლიურად ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებული საქმიანობები სპორტსა და კულტურაში მყარად დაფუძნებულ დღესასწაულად იქცა და მასში საზოგადოების ყველა ფენა მონაწილეობს.

მსურს მივესალმო ყველა მონაწილეს და ოლიმპიური დღის წარმატებით აღნიშვნა ვუსურვო მის ორგანიზატორებს.

ხუან ანტონიო სამარანჩი,
სოკ-ის პრეზიდენტი

# ყურადღება!

ორგანიზაციული საკითხების გათვალისწინებით, საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი მძლეოსნური გარბენის მაღალ დონეზე ჩასატარებლად, სეოკ-მა მიიღო გადაწყვეტილება ეს ღონისძიება, ნაცვლად ადრე გამოცხადებული 21 ივნისისა, ჩაატაროს შაბათს, 28 ივნისს. მარშრუტი უცვლელია:

*1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია* — თავისუფლების მოედანი (მოზრდილებისთვის);

*2. რუსთაველის მოედანი — თავისუფლების მოედანი* (12 წლის ასაკის ჩათვლით, აგრეთვე ინვალიდებისა და ოჯახებისათვის).

გარბენში მონაწილეობის მსურველებმა წინასწარ განაცხადი უნდა წარადგინონ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (დ. აღმაშენებლის, 65) 26 ივნისამდე.



# იმკურნალეთ იქ, სადაც მკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები

მომსახურება იდეალური, სპეციალისტები — საუკეთესო, შედეგი — აღდგენილი ჯანმრთელობა!

გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა;
ტელ: 23-59-59; 29-47-48.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია მადლიერებას გამოხატავს გამომცემლობა „სამშობლოს“ ხელმძღვანელების მიმართ ფეხბურთში მსოფლიოს XVI ჩემპიონატის მსვლელობის ოპერატიულად გაშუქებაში ხელშეწყობისათვის.

# რონალდომ დაიწყო...



რონალდომ თავისი პირველი გოლი გაიტანა ამ ჩემპიონატში

მატჩი №18 „ბიჟიუ“. 40 000 მაყურებელი

**ბრაზილია — მაროკო 3-0**

*ბრაზილია:* ტაფარელი, კაფუ, რობერტო კარლოსი, ჟუნიორ ბაიანო, ალდაირი, დუნგა, სეზარ სამპაიო (დორივა, 70), რივალდო (დენილსონი, 87), ლეონარდო, რონალდო, ბებეტო (ედმუნდო, 75).

*მაროკო:* ბენზეკრი, როსი, საბერი (ამზინი, 80), ნაიბეტი, ელ ხალეჯი, ელ ჰადრიუი, ჩიპო, ჩიბა, ჰაჯი, ბასირი, ჰადა.

*გოლები:* რონალდო (8), რივალდო (45), ბებეტო (52).

*გააფრთხილეს:* ჰადა, სამპაიო, ბაიანა.

*მსაჯი:* ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი)

ცხადია, ყველა მოუთმენლად ელოდა პლანეტის უძლიერესი ფეხბურთელის – რონალდოს შთამბეჭდავ თამაშს. შოტლანდიელებთან მან შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოამჟღავნა. მაგრამ რონალდოსნაირი ვარსკვლავები ზედიზედ ორ თამაშს იშვიათად „აგდებენ“. ეს ამ მატჩმაც ცხადჰყო. ხოტორა ბრაზილიელი საუკეთესო იყო მინდორზე. პირველ თამაშთან შედარებით მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ. არადა, მაროკოელებმა პირველ ტურში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვეს და ზაგალომ ისინი ფავორიტებადაც კი მონათლა. თუმცა, ის, რაც მათ ნორვეგიელებთან ეყოთ ფრეს მისაღწევად, ბრაზილიელებთან საკმა-

იხ. მე-2 გვ

| № | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბრაზილია | | 2-1 | 3-0 | | | |
| 2. | შოტლანდია | 1-2 | | | 1-1 | | |
| 3. | მაროკო | 0-3 | | | 2-2 | | |
| 4. | ნორვეგია | | 1-1 | 2-2 | | | |

| № | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | იტალია | | 2-2 | | | | |
| 2. | ჩილე | 2-2 | | | | | |
| 3. | კამერუნი | | | | 1-1 | | |
| 4. | ავსტრია | | | 1-1 | | | |

| № | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | საფრანგეთი | | 3-0 | | | | |
| 2. | სამხ. აფრიკა | 0-3 | | | | | |
| 3. | საუდ. არაბეთი | | | | 0-1 | | |
| 4. | დანია | | | 1-0 | | | |

| № | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ესპანეთი | | 2-3 | | | | |
| 2. | ნიგერია | 3-2 | | | | | |
| 3. | პარაგვაი | | | | 0-0 | | |
| 4. | ბულგარეთი | | | 0-0 | | | |

| № | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ჰოლანდია | | 0-0 | | | | |
| 2. | ბელგია | 0-0 | | | | | |
| 3. | სამხ. კორეა | | | | 1-3 | | |
| 4. | მექსიკა | | | 3-1 | | | |

| № | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | გერმანია | | 2-0 | | | | |
| 2. | აშშ | 0-2 | | | | | |
| 3. | იუგოსლავია | | | | 1-0 | | |
| 4. | ირანი | | | 0-1 | | | |

| № | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | რუმინეთი | | 1-0 | | | | |
| 2. | კოლუმბია | 0-1 | | | | | |
| 3. | ინგლისი | | | | 2-0 | | |
| 4. | ტუნისი | | | 0-2 | | | |

| № | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | არგენტინა | | 1-0 | | | | |
| 2. | იაპონია | 0-1 | | | | | |
| 3. | იამაიკა | | | | 1-3 | | |
| 4. | ხორვატია | | | 3-1 | | | |

FRANCE 98
COUPE DU MONDE

# XVI მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

(პირველი გვერდიდან)

რისი არ აღმოჩნდა. მაროკოელთა ლიდერი მუსტაფა ჰაჯი წინა მატჩთან შედარებით არც თუ ისე ყოჩაღობდა.

*1-15 წთ.* ბრაზილიელებმა თავიდანვე დაიპყრეს ცენტრი და რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელეს. რონალდომ კი პირველივე შანსი გამოიყენა. ისარგებლა რა მეტოქის მცველთა სიმცირით, საჯარიმოში მიღებული პასი ოსტატურად გაგზავნა დენზეკრის კარში. ბრაზილიელთა უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა.

*15-30 წუთი.* სცენარი არ შეცვლილა. ერთ მომენტში რონალდომ პირისპირ გაიყვანა ბებეტო. მაგრამ ფორვარდს სისწრაფე არ ეყო, რათა ხიფათი შეექმნა მაროკოელთა კარისათვის. დასამახსოვრებელი იყო რობერტო კარლოსის საჯარიმო დარტყმა, როცა ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

*30-45 წთ.* სრულიად მოულოდნელად მაროკოელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა. თუმცა ეს ალბათ ბრაზილიელთა ზედმეტი ნერვიულობის შედეგი იყო. მათი რიგები ოდნავმა პანიკამაც მოიცვა. მუსტაფა ჰაჯი ის იყო სახიფათოდ შედიოდა საჯარიმოში, მაგრამ მოცელეს. ჯარიმიდან კი ჰადამ მცირედით ააცილა კარს. აფრიკელთა გააქტიურება მხოლოდ ამ მონაკვეთმა მოიცვა. ტაიმის ბოლო წუთზე ბებეტო-კაფუ-რივალდოს კომბინაცია ამ უკანასკნელის მეორე გოლით დასრულდა.

*45-60 წთ.* დამშვიდებულმა ბრაზილიელებმა კიდევ უფრო გაშალეს თამაში. ბებეტომ რივალდოს ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა, მაგრამ ბენზეკრიმ ზედ კარის ხაზთან გააჩერა ბურთი. თუმცა გამოცდილმა ბრაზილიელმა მაინც შეძლო გოლის გატანა. ეს უფრო მეტად რონალდოს დამსახურებაა, რომელმაც მარცხენა ფრთაზე ფინტებით დააბნია მცველი და მეკარე. ბებეტოს ისღა დარჩენოდა ბურთი კარში შეეგორებინა.

*60-75 წთ.* ბრაზილია თავის სტიქიაშია... მაროკოელებმა უხეშობას მიმართეს... ჰაჯი ცდილობს ინიციატივა თავის თავზე აიღოს... რობერტო კარლოსის პასს რონალდომ ჭვინტი ჰკრა და ააცილა... ტემპმა იკლო... ჰაჯიმ მარცხენა ფლანგზე გაიბრწყინა, მაგრამ მეტად არაზუსტად დაარტყა.

*75-90 წთ.* ბრაზილია დაოკდა... მაროკო პრესტიჟის გოლსღა ჩიოდა... ამზინმა 15-16 მეტრიდან ააცილა... მარტო ჰაჯი ვერას გახდა...





*ფოტოებზე: მარცხნივ — შოტლანდიელთა კაპიტნის ჰენდრისა (უკანა პლანზე) და ნორვეგიელ ტ.ა.ფლოს (№9) ორთაბრძოლა; მარჯვნივ — ნორვეგიელი რისეტი (№21) ამ მატჩში პირველად გამოიყვანა მწვრთნელმა მოედანზე და გოლიც გაატანინა ჰავარდ ფლოს...*

**მატჩი №17. „ლესიუარი" 36 500 მაყურებელი**

**შოტლანდია — ნორვეგია 1–1**

*შოტლანდია:* ლეიტონი, ბოიდი, კარდერვუდი (ვეირი, 61), ჰენდრი, დეილი, ბარლი, ჯეკსონი (მაკნამარა, 63), ლამბერტი, კოლინზი, გალაჰერი, დიური.

*ნორვეგია:* გროდასი, ეგენი, ბიორნებიუ, იონსენი, ბერგი (ჰალე, 82), რეკდალი, სტრანდი, რისეტი (ოსტენსტადი, 75), სოლბაკენი, ჰ. ფლო, ტ.ა. ფლო.

*გოლი:* ჰ. ფლო (47), ბარლი (69).

*გააფრთხილეს:* რეკდალი, ჯეკსონი, ბერგი.

*მსაჯი:* ლასლო ვაგნერი (უნგრეთი).

ნორვეგიელთა თავკაცი ეგილ ოლსენი მაროკოსთან ფრეს შემდეგ ერთობ უკმაყოფილო გახლდათ, რის გამოც შოტლანდიელებთან სასტარტო შემადგენლობაში აღარ გამოიყვანა ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი (ჰალე, ლეონარდსენი, მიუკლანდი, სოლსკიაერი) და მათ ნაცვლად ბიორნებიუ, სტრანდი, რისეტი და სოლბაკენი გამოიყვანა სათამაშოდ. ამ სიახლემ დიდად ვერაფრით შეცვალა ნორვეგიის ნაკრები, ყოველ შემთხვევაში, სკანდინავიელთა გუნდს რაიმე პროგრესი, წინა მატჩთან შედარებით, არ ემჩნეოდა. თავდასხმაში ეგილ ოლსენმა ტორე ანდრე ფლოს ჰავარდ ფლო შეაშველა, ფლანგებზე რისეტი და სტრანდი გაამწესა, მაგრამ ამით ნორვეგიელთა შემტევი პოტენციალი სოლიდურად ნაღდად არ გამოიყურებოდა. ტრადიციულად ვაჟკაცურად მოთამაშე სქოთებმა პირველი წუთებიდანვე მიიტანეს იერიშები გროდასის კართან — ბარლის ჩაწოდებულს დეილის არაზუსტი თავური მოჰყვა, შემდეგ თვით დეილის ჩაწოდებულს უკვე დიური შეეგება თავით, ასევე უხეიროდ. ბრიტანელები მეტად შმაგად და აგრესიულად კი მოქმედებდნენ, მაგრამ სწორხაზოვნად — იმპროვიზაციისა და არაორდინალურობის გარეშე მათ მონდომებას პროდუქტიულობა აშკარად აკლდა. ამან ნორვეგიელებს საშუალება მისცა დროულად დაეღწიათ თავი ბრიტანული აგრესიისაგან და რამდენიმე ხიფათი შეუქმნეს კიდეც 39 წლის ჯიმ ლეიტონს. ჯერ სტრანდი აღმოჩნდა უმეთვალყურეოდ მეკარის ბაქანთან, მაგრამ საკმაოდ მახვილი კუთხით მყოფს ლეიტონმა აჯობა. შემდეგ სოლბაკენს შეეძლო ეყოჩაღნა დაახლოებით 11-მეტრიანის ნიშნულიდან, თუმცა მეტად ულაზათოდ დაარტყა. სქოთები კი კვლავინდებურად ზედმიწევნით ბრიტანულ სტილში ცდილობდნენ სკანდინავიელთა დაჩაგვრას, მაგრამ ნორვეგიელთა დაცვა ხომ ლამის მთლიანად პრემიერლიგის კლუბების მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და შოტლანდიელთა „მამაცი გულის" გახარებაც ერთობ ჭირდა. თუმცა, ტაიმის მიწურულს გალაჰერის მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებულს ჰენდრი ისეთი თავურით გამოეხმაურა, რომ გრადასი სახტად დარჩა, მაგრამ ბიორნებიუმ ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი. მეორე ტაიმის პირველ წამებზე კი ნორვეგიელებმა ქრესტომატიულად აჩვენეს ბრიტანელებს თუ როგორ უნდა შესრულდეს უნაკლო თავური ფლანგური ჩაწოდებისას — ჰავარდ ფლოს მარცხენა ფრთიდან ასისტენტად რისეტი მოევლინა.

შოტლანდიელებისათვის მეორე წაგება და მერვედფინალისაკენ გზის მოჭრა ერთი იქნებოდა. მაგრამ რა უნდა ეღონათ სქოთებს მხოლოდ სწორხაზოვანი თამაშით? ნორვეგიელები თავიანთ ნახევარზე უკვე გაორკეცებული აგრესიულობითა და სიხისტით ირჯებოდნენ, მინდვრის არც ერთი წერტილიდან არ აძლევდნენ შოტლანდიელებს თავიანთ საჯარიმოში ან მისადგომებთან ჩაეკიდათ ბურთი. ბრიტანელთა თავკაცს აბა სხვა რა უნდა ექნა და შეცვლებს მიჰყო ხელი, რამაც გაამართლა კიდეც. ვეირასა და მაკნამარას შემოსვლამ სქოთების მარჯვენა ფრთა ძალზედ აქტიური გახადა და იერიშები სწორედ აქედან მიჰქონდათ სკანდინავიელებზე. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია დევიდ ვეირის ჭკვიანური თამაში — შოტლანდიელთა ნახევარზე მყოფმა მოულოდნელი, გრძელი პასი გაუჭრა ბარლის, რომელმაც ნორვეგიელთა საჯარიმოში იონსენსაც დაასწრო და გროდასსაც — ერთი შეხებით ოსტატურად გადაუგდო თავზე ბურთი მეკარეს. გატანილმა გოლმა ფრთები შეასხა ბრიტანელებს, ერთი პერიოდი შტურმისმაგვარი მოუწყვეს მეტოქეს, კარგი მომენტები გააცუდეს ბარლიმ და ბეილიმ. სისწრაფის მომატებისთანავე ნორვეგიელთა დაცვას პრობლემები შეექმნა და სქოთებს რომ ერთი ექსტრაკლასის „შემქმნელი" მაინც ჰყოლოდათ, სამ ქულას უეჭველად გამოჰკრავდნენ ხელს. მატჩის მიწურულს ტემპმა იკლო, შოტლანდიელები უპირატესობის მიუხედავად მწვავედ ველარ უტევდნენ, სკანდინაველებმა კი გატანილი გოლის შემდეგ დასამახსოვრებელი ვერაფერი შექმნეს.

*„ლელოს" ამ ნომრისათვის ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მასალები მოამზადეს ჯემალ ჭიპაშვილმა, დათო თავართქილაძემ და ილია ნანობაშვილმა.*

# ტრაპის რეზიუმე – საფრანგეთში აქტიური ფეხბურთი ზეობს

***სოლარი** რამაა მონმარტრი, ვის არ შეეფეთები იქ — მსოფლიოს ყველაზე მდიდარ თუ უპოვარ ადამიანებს, ხელოვნებისა თუ სპორტის საქვეყნოდ ცნობილ პიროვნებებს. მოკლედ, როცა იქა ხარ, არაფერი არ გაგიკვირდეს, ნებისმიერი შეხვედრისათვის უნდა იყო მზად. მაგრამ ის, რაც მე და „სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტთა ჯგუფს (ფრანგთა სასახელოდ უნდა ითქვას, მონდიალზე ყველას აკრედიტაცია უპრობლემოდ მოახერხეს) შეგვემთხვა, მაინც არაჩვეულებრივი ამბავი იყო. 16 მაისს, დილით, სანამ ნანტსა და ბორდოში მორიგ მატჩებზე გავემგზავრებოდით, სასეირნოდ გავედით. მოკლე ხანში, სხვადასხვა ხალხთან ერთად მონმარტრზე თვალი მოვკარი ალფრედო დი სტეფანოს, ბობი და ჯეკი ჩარლტონებს, გიაცინტო ფაკეტის, მარიო კორსოს, თქვენ წარმოიდგინეთ, ლეონ იშტოიანსაც კი. ჰოდა, ასეთი გარემოცვით ცოტა არ იყოს შოკირებულები ვიყავით, როცა „ლა გაძეტა დელო სპორტიდან" ნაცნობი კოლეგა შევიცანით — ალესიო და რონხი. იგი თვით ჯოვანი ტრაპატონის ესაუბრებოდა. ჟურნალისტებს ერთი კარგი ჩვევა აქვთ — სანამ ინტერვიუს იღებენ, კოლეგები არ მიეკარებიან, ხელს არ შეუშლიან. ახლაც ასე მოხდა, გამორთო თუ არა იტალიელმა ჟურნალისტმა დიქტოფონი, ჩვენც მაშინ მივუახლოვდით სინიორ ტრაპატონის და ისევ ალესიოს დახმარებით მონდიალზე მიღებული შთაბეჭდილებებზე ვისაუბრეთ.*

***● სინიორ ტრაპატონი, ოცდათორმეტივე გუნდი უკვე „საქმეში ვნახეთ". როგორია თქვენი შთაბეჭდილებები?***



*ზოგჯერ ტრაპატონი ასეთიცაა...*

— საერთო ჯამში დიდი სენსაციების გარეშე დაიწყო ეს ჩემპიონატი. თუ არ ჩავთვლით ესპანეთი — ნიგერიის მატჩის შედეგს, პროგნოზირება შეიძლებოდა.

***● რა, თქვენ ელოდით „სკუადრა აძურას" ასეთ სუსტ თამაშს?***

— არ დაგიმალავთ, აპენინელთა სტარტმა დამთრგუნა. ზოგი ოპონენტი იტყვის, იტალია ყოველთვის მდორედ იწყებს მონდიალსო. მაგრამ ის, რაც ვნახეთ, სულ სხვა რამეა. თამაშის არავითარი ტაქტიკური მონახაზი გუნდს არ გააჩნია. სიმართლე გითხრათ, რეზერვებსაც ვერ ვხედავ. ეს ნაკრები უნდა დაიშალოს და ყველაფერი თავიდანაა დასაწყები. სამწუხაროდ, განგაშის ზარები მაშინ უნდა შემოგვეკრა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში რომ გამოვიდა გუნდი ასე სუსტად — გახსოვთ ალბათ ჩავარდნები თბილისში, მოსკოვში...

***● რაში ხედავთ ჩეზარე მალდინის შეცდომას?***

— მალდინიმ დიდი შეცდომა დაუშვა, პირველ რიგში, ნაკრების დაკომპლექტებაში. გაგიგონიათ, გყავდეს ისეთი ექსტრა-კლასის ფორვარდი, როგორიცაა ძოლა და იგი საფრანგეთში არ წაიყვანო! სხვა ნაკლი, რაც თვალში გხვდება, გუნდის სუსტი მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადებაა. მოთამაშეები უსიცოცხლოდ, აპათიურად გამოიყურებიან...

***● სხვა ფავორიტებზე რას იტყვით?***

— პირველ მატჩში მოგების მიუხედავად მაინცდამაინც კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს ბრაზილიელებმა, ვერც ჰოლანდიელებმა და იუგოსლავიელებმა გამოიჩინეს თავი. პირველი მატჩი ვერც არგენტინელებმა მოიგეს დამაჯერებლად, მაგრამ მათი თამაშის გაძლიერების პერსპექტივებს ვხედავ, პასარელა ჭკვიანი მწვრთნელია. კარგად დაიწყეს გერმანელებმა, ინგლისელებმა, განსაკუთრებით ხორვატებმა და მექსიკელებმა — მათგან ნებისმიერი სიურპრიზია მოსალოდნელი.

***● თქვენი აზრით, საითკენ მიდის ფეხბურთის განვითარება?***

— მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. აშკარაა თავდასხმითი ფეხბურთის ზეობა. დაცვითი სისტემები წარსულს ბარდება. საქმე იქითკენ მიდის, რომ მომავალ მონდიალზე, რომელიც 2002 წელს იაპონიასა და სამხრეთ კორეაში გაიმართება, გუნდებმა შეიძლება მხოლოდ 2-3 მცველით ითამაშონ.

ესაუბრა
**არკადი სმირნოვი,**
„ლელოს" სპეც. კორ. საფრანგეთში
16 ივლისი (ფაქსით)

# XVI მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

FRANCE 98
COUPE DU MONDE

**მატჩი №16. პარიზი. „პარკ დე პრენსი“. 43 815 მაყურებელი**

*გერმანია:* კეპკე, როიტერი (ციგე, 69), კოლერი, ტონი, ჰაინრიხი, იერემისა, მიოლერი (ბაბელი, 90), ჰესლერი (ჰამანი, 51), ვიორნსი, კლინსმანი, ბირჰოფი.
*აშშ:* კელერი, ბარნსი (ჰაიდუკი, 46), დული, პოუპი, დერინგი (რამოსი, 71), მეისონიუვი, რეჯისი, რეინა, ჯოუნსი, სტიუარტი, ვინალდა (ვეგერლე, 64)
*გოლები:* მიოლერი (9) კლინსმანი (67)
*მსაჯი:* ს. ბელკოლა (მაროკო)

**მატჩის შემდეგ**

**ბერტი ფოგთსი (გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ბედნიერი ვარ, რომ ჩემპიონატი დამაჯერებლად დავიწყეთ, და მაინც, მოპოვებული სამი ქულის მიუხედავად, ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი არა ვარ. გატანილი გოლის შემდეგ რატომღაც ბიჭებმა სათამაშო დისციპლინა დაარღვიეს, ანერვიულდნენ. ყოველივე ამან ამერიკელებს ხელ-ფეხი გაუხსნა და რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეგვიტიეს. შემდეგი მატჩებისათვის სათანადოდ მოვემზადებით, ეგაა მადარდებს თომას ჰესლერის ტრავმა – ექიმები დღეს-ხვალ ვერდიქტს გამოიტანენ, ითამაშებს თუ არა იგი ამ მონდიალზე.“

**სტივ სიმპსონი (აშშ-ს ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „პირველი ტაიმი ცუდად ჩავატარეთ, აი მეორე ნახევარში კი ჩვენი თამაში ვიპოვეთ და რომ იღბალს ჩვენთვის ზურგი არ შეექცია, შეიძლებოდა ფრეზე ფიქრი. „კლინსმანის ლამაზმა გოლმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა“.


რუმინეთი – კოლუმბია
გალკა-ვალდერამას ორთაბრძოლა

**მატჩი №15. ლიონი. „სტად ჟერლანი“. 44.000 მაყურებელი**

**რუმინეთი – კოლუმბია 1–0 (1–0)**

*რუმინეთი:* სტელია, ფილიპესკუ, გეორგე პოპესკუ, ჩებოტარუ, გალკა, პეტრესკუ, მუნტიანუ, გაბრიელ პოპესკუ, (სტინგა, 69) ჰაჯი (მარინესკუ, 77), მოლდოვანი (ნიკულესკუ, 86), ილიე.
*კოლუმბია:* მონდრაგონი, პალასიოსი, ბერმუდესი, სანტა, ლოსანო, კაბრერა, ვალდერამა, რინკონი, სერნა, არისტასაბალი (ვალენსია,46), ასპრილია (პრესიადო, 85).
*გოლი:* ილიე (45)
*გააფრთხილეს:* სანტა, პეტრესკუ, მუნტიანუ, ფილიპესკუ.
*მსაჯი:* ა.ი. ლიმ კი ჩონგი (მავრიკეთი)

**მატჩის შემდეგ**

**ერნან გომესი (კოლუმბიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „თამაში ძალიან ცუდად დავიწყეთ, ბიჭები ფსიქოლოგიურად დათრგუნულები იყვნენ, ახსოვდათ რა წინა მსოფლიო ჩემპიონატზე თავსდატეხილი ტრაგედია. შესვენებაზე როგორც შემეძლო ბიჭები დავამშვიდე და ვთხოვე მეტი ემოძრავათ. ჩემმა მითითებებმა შედეგი გამოიღო და თავადაც ნახეთ რუმინელთა კარი სულ ცოტა ოთხჯერ გადაურჩა აშკარა გოლს. და მაინც, წაგების მიუხედავად, მჯერა დარჩენილ მატჩებში უკეთეს შედეგს მივაღწევთ. დღევანდელი მატჩების შემდეგ აშკარაა, რომ ჯგუფში პირველ ადგილს ინგლისელები დაიკავებენ, მეორე საფეხურს კი, ალბათ, ყველა რუმინელებს უწინასწარმეტყველებს. მე ასეთი შეფასებისგან თავს შევიკავებდი. კოლუმბია ჯერ კიდევ იტყვის თავის სიტყვას.“

**ანგელ იორდანესკუ (რუმინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „გუნდის თამაშითაც და შედეგითაც კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს ბიჭებმა მატჩის პირველი ნახევარი. იყო მომენტები, როდესაც, პრაქტიკულად, ყველაფერი გამოგვდიოდა. ვთვლი, იღბალი რომ გვქონოდა, პირველი 45 წუთი, სულ ცოტა, სამბურთიანი სხვაობით უნდა მოგვეგო. მეორე ტაიმში სურათი შეიცვალა და კოლუმბიელები, თავგანწირული თამაშის წყალობით, უპირატესობას დაეუფლნენ. ჩვენს ბიჭებს დაღლა დაეტყოთ და რითმიდან ამოვარდნენ, ეს მე ძალიან მაფიქრებს.“


გერმანია-აშშ
კლინსმანის გოლი

**მატჩი №14. მარსელი. „სტად ველოდრომი“. 60 000 მაყურებელი**

**ინგლისი – ტუნისი 2–0 (1–0)**

*ინგლისი:* სიმენი, საუთგეიტი, ადამსი, კემპბელი, ინსი, ანდერტონი, ლე სო, სქოულზი, ბეტი, შირერი, შერინგემი (ოუენი, 85)
*ტუნისი:* ელ კაერი, ბადრა, ს. ტრაბელსი (ტაბეტი, 79), ბუკადიდა, ა. ტრაბელსი, ჩიჰი, კლეიტონი, სუაჰა (ბეია, 46), გოდბენი, ბენ სლიმანი (ბენ ინეში, 65), სელიმი.
*გოლები:* შირერი (43), სქოულზი (90)
*გააფრთხილეს:* კლეიტონი, ბენ ინეში, გოდბენი, კემპბელი
*მსაჯი:* მ. ოკადა ( იაპონია)

**მატჩის შემდეგ**

**ჰენრი კასპერჩაკი (ტუნისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ალბათ, დამეთანხმებით, მატჩი საინტერესო საყურებელი გამოდგა, ღია ფეხბურთი ვითამაშეთ. მიუხედავად ამისა, შედეგით უკმაყოფილო ვარ. პირველ ტაიმში ბიჭებმა ჩემი მითითებები ვერ შეასრულეს, მეორე ნახევარში კი, მართალია თამაში გამოსწორდა, გოლის გატანა სიმენის კარში ვერ მოხერხდა. ინგლისელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს.“

**გლენ ჰოდლი (ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:** „მატჩის დასაწყისში ფეხბურთელები ნერვიულობდნენ, მაგრამ თანდათან ყველაფერი დალაგდა და ჩვენი უპირატესობა აშკარა გახდა. იღბალი რომ გვქონოდა, უფრო დიდი ანგარიშით მოვიგებდით“.


პირველი შირერმა გაიტანა...


სქოულზი: 2-0




წინა მონდიალზე საკუთარ კარში გატანილი გოლისათვის კოლუმბიელი ესკობარი სამშობლოში დაბრუნებისთანავე სიცოცხლეს გამოასალმეს.

ესკობარის სურათი კოლუმბიელმა გულშემატკივრებმა საფრანგეთში ჩამოიტანეს. „ასეთი ტრაგედია აღარ უნდა განმეორდეს, ჩვენ მშვიდობა გვსურს!“ – მოითხოვენ ისინი.


ბრძოლა მოედანზე,
ბრძოლა ქუჩაში...

# XVI მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

FRANCE 98 COUPE DU MONDE

**მატჩი №13. ლანსი. „ფელიქს ბოლარი“. 39.000 მაყურებელი**
**ხორვატია–იამაიკა 3–1 (1–1).**

*ხორვატია:* ლადიჩი, შტიმაცი, ბილიჩი, სოლდო, იარნი, სიმიჩი, ასანოვიჩი, პროსინეჩკი, ბობანი, შუკერი, სტანიჩი (ვლაოვიჩი, 72)
*იამაიკა:* ბარეტი, გუდისონი, სიმპსონი, ლოვი, კარგილი, გარდნერი, ერლი (უილიამსი, 72), უიტმორი, სინკლერი, პოლი (ბოიდი, 83).
*გოლები:* 1-0 სტანიჩი (28), 1-1 ერლი (45), 2-1 პროსინეჩკი (54), 3-1 შუკერი (68).
*გააფრთხილეს:* ბარტონი, სიმიჩი.
*მსაჯი:* მანუელ მელუ პერეირა (პორტუგალია)

**მატჩის შემდეგ**

**რენე სიმოეში (იამაიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „მარცხის მიუხედავად, იამაიკა მაინც გამარჯვებულია – ჩვენ ყოველ მატჩში ახალ რაღაცეებს ვსწავლობთ. რაც შეეხება ხორვატიას, გუნდი უფრო გამოცდილ ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და დამსახურებულად გაიმარჯვა. მისი ნახევარდაცვა შესანიშნავად გამოიყურება და ამის გამო კონტრშეტევების განხორციელება ძნელი იყო. მეორე გოლმა საბოლოოდ გაგვტეხა“.

**მიროსლავ ბლაჟევიჩი (ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ჩვენი წარმატება დამსახურებული

იხ. მე–5 გვ.



## პლატინი აქვითინდა, დიდი მეგობარი დავკარგეო

„ლელო“ სისტემატურად აშუქებდა საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადებას. იმასაც აღვნიშნავდით, რომ საორგანიზაციო კომიტეტს შეხმატკბილებულად ხელმძღვანელობდნენ სახელგანთქმული მიშელ პლატინი და გულშემატკივრებისთვის ნაკლებად ცნობილი ფერნანდ სასტრი, რომელიც 1973-84 წლებში თავკაცობდა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას, ხოლო 1982-84 წლებში საფრანგეთის ოლიმპიურ კომიტეტსაც ედგა სათავეში. პლატინიმ და სასტრმა დიდი მუშაობა გასწიეს, რათა ღირსეულად მოემზადებინათ საფრანგეთი-98-ის ბატალიები. და მართლაც, როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, მონდიალის ორგანიზაცია ყოველმხრივ საუკეთესოა. სწორედ ახლა უნდა მოემკა ორ მეგობარს გაწეული შრომის ნაყოფი. სამწუხაროდ, ერთ-ერთ მათგანს არ დასცალდა და 74 წლისა ფილტვების კიბოთი გარდაიცვალა. „ერთმანეთს პირველად 20 წლის წინათ შევხვდით და თავიდანვე განსაკუთრებული პატივისცემითა და მორიდებით ვიყავი მისადმი გამსჭვალული. ვფიქრობ, იგი საკუთარ შვილად მთვლიდა“ – უთხრა მონდიალის ერთ-ერთ მატჩზე ჟურნალისტებს პლატინიმ და აქვითინდა.

FRANCE 98 INFORMATIONS

### რომარიო ძალიან უკმაყოფილოა...

...იმით, რომ მცირე ტრავმის (და დიდი ინტრიგების) გამო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის საშუალება არ მისცეს. იგი ფიქრობს, რომ საკმაოდ მალე გამოჯანმრთელდებოდა, შეიძლება ერთი, გნებავთ ორი მატჩიც გამოეტოვებინა, მაგრამ შემდეგ თავის ნაკრებს მაინც შესაფერ სამსახურს გაუწევდა.

საინტერესოა, რომ თვით რომარიო და მისი გულშემატკივრები ზაგალოს კონკრეტულად არაფერში ადანაშაულებენ. (იგი ფორმალურად სწორი იყო), არამედ მთელი კრიტიკა და გაბოროტებული გამოხდომებიც კი ნაკრებში მეორე პირის, მისი ტექნიკური დირექტორის, ზიკოს წინააღმდეგაა მიმართული.

ზიკო, ადრეც, როცა სპორტის მინისტრი იყო, და, გნებავთ, შემდგომ პერიოდშიც, რომარიოს მიმართ, შეიძლება ითქვას, არაკეთილმოსურნედ იყო განწყობილი, ახლა კი იმდენს მიაღწია, რომ მცირე ტრავმის მომიზეზებით ნაკრები დაატოვებინა.

რათა დაამტკიცოს, რომ მას არაფერი სტკივა, რომარიო ამ დღეებში „ფლამენგოს“ შემადგენლობაში მატჩის ჩატარებას აპირებს.

### კლინსმანი აქებს ინგლისელებს

**როგორც იურგენ კლინსმანმა ჟურნალისტებს განუცხადა, იგი ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად ინგლისელებს მიიჩნევს. გერმანელი თავდამსხმელი ხომ მათ ძალიან კარგად იცნობს – ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურსში“ თამაშობს.**

**– ინგლისელები თავიანთ ნამდვილ ძალას ჯერ კიდევ წინასწარ ტურნირში უჩვენებენ. მათ ისეთი ფეხბურთელების მთელი ჯგუფი ჰყავთ, რომლებსაც მარტოდმარტო შეუძლიათ მატჩის ბედის გადაწყვეტა.**

**გერმანელთა ნაკრების კაპიტანი იმასაც ითვალისწინებს, რომ წინასწარ ჯგუფში ინგლისელები არც ისე რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ და მერვედფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ.**

### „ქენონი“ დაეხმარება გულშემატკივრებს

ფოტოტექნიკის ცნობილმა კომპანიამ „ქენონმა“, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატების ერთ-ერთი ტრადიციული სპონსორია, გადაწყვიტა გულშემატკივრებზე იზრუნოს. ამიტომ გამოუშვა „კომპლექტი გულშემატკივრებისათვის“, რომელსაც სხვანაირად ასე დაარქვა: „როგორ გადავირჩინოთ თავი მსოფლიო ჩემპიონატის დროს“. კერძოდ, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუკი ოჯახში ერთი ტელევიზორია და ოჯახის ყველა წევრს, განსაკუთრებით ქალებს, როდი სურთ მატჩების ყურება? „ქენონმა“ ეს გაითვალისწინა. და მოამზადა სპეციალური ტამპონები, გულშემატკივარი ყურებს დაიცობს და აღარ გაიგონებს ოჯახის წევრების საყვედურს. იგივე ტამპონი შეიძლება დაიცონ ოჯახის სხვა წევრებმა და აღარ გაიგონებენ მატჩის ხმაურს. მომზადდა პატარა ფირფიტაც: „გთხოვთ არ შეგვაწუხოთ, ვუყურებთ ფეხბურთის მატჩს“. გამოშვებულია ბლოკნოტები შედეგების ჩასაწერად, შეიძლება ბურთისა და წითელი პირსახოცის, ავტოკალმისა და სხვა ნივთების შეძენა“.

### უშუალოდ დაესწრებიან თუ შორიდან უყურებენ

**როგორც ფრანგულ პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებშია ნათქვამი, მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს სტადიონებზე 2 მილიონ 800 ათასი მაყურებელი ნახავს.**

**ჩემპიონატის ტელეაუდიტორია 37 მილიარდ მაყურებელს შეადგენს. ფინალურ მატჩს კი, სავარაუდოდ, 2 მილიარდი გულშემატკივარი უყურებს.**

### შამანს ვინ უჯერებს!

სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ სპეციალისტებს, განთქმულ ფეხბურთელებსა და მიმომხილველებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატების დროს მკითხავები, ნაირნაირი წინასწარმეტყველები და ნათელმხილველებიც აკეთებენ პროგნოზებს. ცდებიან ერთნიც, მეორენიც, მესამენიც...

ამას წინათ, ერთმა ტუნისელმა შამანმა მთელ მსოფლიოს აცნობა, რომ ტუნისის ნაკრები ყველას გააოცებდა, ინგლისის ნაკრებს დაამარცხებდა, თუმცა ახლა ნამდვილი შედეგი ყველასათვის კარგად არის ცნობილი...

### „ასიანთა კლუბს“ შეემატა

გერმანია-აშშ-ს ნაკრებების მატჩის შემდეგ იმ მოთამაშეთა რიცხვს, რომლებიც ფრიად პრესტიჟულ „ასიანთა კლუბში“ შედიან, შეემატა 28 წლის ამერიკელი თავდამსხმელი ერიკ ვინალდა. ვინალდა ამ მომენტში უძლიერეს ამერიკელ თავდამსხმელად ითვლება, დიდი გამოცდილება მიიღო გერმანულ ბუნდესლიგაში, მსოფლიო ჩემპიონატში კი ზედიზედ მესამედ მონაწილეობს.



ერიკ ვინალდა

თუ ასაკს გავითვალისწინებთ და ვინალდას მდგომარეობას აშშ-ს ნაკრებში, მისთვის 100 მატჩი, რა თქმა უნდა, ზღვარი არ არის და შეუძლია შორს წაიწიოს „ასიანთა კლუბში“.

### ცოლიც ნაკრებშია და ქმარიც!

**ეს მართლაც უცნაური და ფეხბურთის ისტორიაში უნიკალური შემთხვევაა. როგორც ცნობილია, არგენტინულ-პორტუგალიური წარმოშობის ნახევარმცველი კლაუდიო რეინა (ბუნდესლიგის „ვოლფსბურგი“) კარგა ხანია წარმატებით თამაშობს აშშ-ს ნაკრებში და მწვრთნელის ერთადერთი იმედია. სემპსონი მას მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო შუა ხაზის მოთამაშედაც კი თვლის და არც ისე შორსაა სინამდვილისაგან.**

**უცნაური კი ის არის, რომ რეინას მეუღლე დანიელიც აშშ-ს ნაკრების მოთამაშეა, გამოდის ფეხბურთელ ქალთა გუნდში და თანაც ძალიან კარგად.**

### „მთავარია მატჩი იუგოსლაველებთან“

**როცა პარიზის გაზეთმა „ეკიპმა“ გერმანია – აშშ-ს მატჩის წინ ამერიკელთა მწვრთნელ სტივ სემპსონს ჰკითხა, რას ელოდა იგი ამ შეხვედრაში, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი პასუხი მიიღო: „ფრე, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი შედეგი იქნება, მაგრამ 0-1-იც გვაძლევს ხელს“.**

**რატომ უნდა აძლევდეს მწვრთნელს ხელს ასეთი წაგება (სინამდვილეში ხომ ორი ბურთის განსხვავებით დამარცხდა), ეს გასაგები ხდება შემდეგი განცხადებიდან. მეორე ტურში სემპსონის აზრით, მისი ნაკრები აუცილებლად დაამარცხებს ირანელებს, შემდეგ კი ყველაფერი იუგოსლაველებთან შეხვედრაზე იქნება დამოკიდებული. თუ ამერიკელებმა ეს მატჩიც მოიგეს, ისინი უკვე მერვედფინალში არიან. ისე რომ, გერმანელებთან წაგებას მწვრთნელი საგონებელში არ ჩაუგდია.**

## ემერსონ მათურინი: ბუშერდო – იტალიელთა ავტორიტეტის წნეხის ქვეშ

**საფრანგეთში, XVI მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში მუშაობას აგრძელებს „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი არკადი სმირნოვი**

**საკვირველი ამბები ხდება საფრანგეთში. აქ მიმდინარე მონდიალზე ფეხბურთელები, თითქოსდა, ორ ბანაკად გაიყვნენ: ე.წ. თამაშის შემოქმედნი და... ჩამშლელები. ასეთ კატეგორიებად მათი გამწესება კი მსაჯების „კომპეტენციაში“ შედის. ემერსონ მათურინი, კანადელი ვეტერანი არბიტრი, ფიფას სამსაჯო კომიტეტის წევრი, იმავდროულად კონკაკაფის სამსაჯო კომისიას ხელმძღვანელობს. ორშაბათს, 15 ივნისს „პარკ დე პრენსის“ სტადიონის კონფერენც-დარბაზში ჟურნალისტთა ჯგუფი მას მცირე ხნით ესაუბრა. ცხადია, პირველ ყოვლისა, მასმედიას მონდიალის პირველი დღეების მსაჯთა მოქმედების შეფასება აინტერესებდა.**



ემერსონ მათურინი

– შევთანხმდეთ, რაზედაც დღეს მოგახსენებთ, ჩემი პირადი აზრია და აუცილებლი არ არის ემთხვეოდეს ფიფას სამსაჯო კომიტეტის შეხედულებებს. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებიდან 5 დღე გავიდა. უკვე ჩატარებული 14 მატჩიდან მხოლოდ ერთზე შეიძლება ითქვას, რომ არბიტრის შეცდომამ შედეგზე იმოქმედა.

● *ხომ არ დაგვიკონკრეტებთ, რომელ პაექრობაზეა ლაპარაკი, იტალია – ჩილეზე ხომ არა?*

– დიახ. ნიგერიელი არბიტრის ლუსიენ ბუშერდოს მსაჯობამ, ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. პირველ რიგში, რასაკვირველია, ეს ჩილელთა კარში დანიშნულ პენალტს ეხება. ცბიერმა რობერტო ბაჯომ განზრახ მოარტყა მცველს ბურთი ხელზე. ამ უკანასკნელს კი ხელით განზრახ კი არ უთამაშია, არამედ, მას ბურთი ხელზე მოხვდა – ეს სხვადასხვა მცნებებია და დამწყებ არბიტრებსაც კი არ უჭირთ ასეთი სიტუაციების გარჩევა.

● *აქედან გამომდინარე, შეიძლება თუ არა დავასკვნათ, რომ ნიგერიელმა არბიტრმა განზრახ დაუშვა შეცდომა იტალიელთა სასარგებლოდ?*

– არა მგონია, უბრალოდ ბუშერდო იტალიელი ფეხბურთელების მაღალი ავტორიტეტის წნეხის ქვეშ მოხვდა. ეტყობა, იგი ფსიქოლოგიურად სათანადოდ მომზადებული არ არის.

● *რა სანქციები მიიღო ფიფას სამსაჯო კომიტეტმა ბუშერდოს წინააღმდეგ?*

– ჯერჯერობით სასჯელი უცნობია, მხოლოდ ეგაა, ნიგერიელი დროებით გადაყენებულია ჩემპიონატის მატჩების მომსახურებიდან.

● *სხვა არბიტრებზე რას იტყვით, ყველამ გაამართლა თქვენი იმედები?*

– საბედნიეროდ, კი. მატჩები ძალიან უშეცდომოთ ბრძოლაში მიმდინარეობს. დაკვირვებით შემიძლია ვთქვა, რომ მსაჯებს ჯერჯერობით, თუ იმ ზემოხსენებულ მატჩს არ ჩავთვლით, არაფერი გაუფუჭებიათ.

● *აშშ-ირანის მატჩი თავად მოგეხსენებათ, როგორი ძნელი სამსაჯო იქნება. ვინ მოემსახურება ამ თამაშს?*

– ამ მატჩს იმსაჯებს შვეიცარიელი ურს მაიერი. იგი ძალიან გამოცდილი არბიტრია და, ვფიქრობ, სათანადო სიმაღლეზე წარმართავს შეხვედრას.

● *თუ არის ცნობილი, ვინ მოემსახურება მონდიალის ფინალურ მატჩს?*

– ვერ გეტყვით, ალბათ ამას გადაწყვეტს ის, თუ რომელი არბიტრი როგორ ფიზიკურ მზადყოფნაში იქნება იმ პერიოდში.

მსოფლიო ჩემპიონატი,
პარიზი, 15 ივნისი

**„ლელოს“ რედაქციისაგან.** აშშ-ის – ირანის მატჩი, როგორც ვნახეთ, მსაჯებმა თითქმის უშეცდომოდ წარმართეს.

### ნაკრები — «XX»

სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებმა, რომლებიც ფეხბურთზე წერენ, გამოაქვეყნეს XX საუკუნის მსოფლიო ნაკრები; გუნდში შევიდნენ: ლევ იაშინი (რუსეთი), კ. ალბერტო (ბრაზილია), ბეკენბაუერი (გერმანია), მური (ინგლისი), ნ. სანტოსი ( ბრაზილია), კროიფი (ჰოლანდია), დი'სტეფანო (ესპანეთი), პლატინი (საფრანგეთი), პელე, გარინჩა (ორივე – ბრაზილია), მარადონა (არგენტინა).

### რონალდო?.. მხოლოდ თავგადახოტრილი

რონალდოს ამ განცხადებამ ააფორიაქა სარეკლამო სააგენტოები. ბრაზილიელმა ფეხბურთელმა თქვა: „თუ ჩემპიონები გავხდებით, თმას გრძლად მოვუშვებ“. საქმე ისაა, რომ, ფირმებთან დადებული მისი კონტრაქტების მიხედვით, იგი ისე უნდა გამოიყურებოდეს, – როგორიც დღეს არის – „ნული საკრეჭი მანქანით“ თავგადახოტრილი!

## მოკლედ...

● ***ალესანდრო დელ პიერომ,*** *„სკუადრა აძურას“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა, როგორც იქნა ტრავმები მოიშუშა და კამერუნის წინააღმდეგ დღევანდელ მატჩში მიიღებს მონაწილეობას.*

● ***პატრიკ კლუივერტი,*** *ჰოლანდიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი, რომელიც ბელგიის წინააღმდეგ მატჩში გააძევეს, ორ თამაშს გამოტოვებს.*

● ***თომას ჰესლერმა,*** *გერმანიის ნაკრების ნახევარმცველმა, აშშ-სთან მატჩში ტრავმა მიიღო. „მყესები სავალალო მდგომარეობაში აქვს და საეჭვოა, რომ მან მონდიალზე გამოსვლა გააგრძელოს“ – განაცხადა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბერტი ფოგთსმა.*

● ***ინგლისელმა ფანებმა*** *კვლავ „ისახელეს თავი“. ისინი მარსელში თავისიანების საქომაგოდ ჩავიდნენ და სტადიონისაკენ მიმავლები არაბ გულშემატკივრებს დაერივნენ. გარდა იმისა, რომ გაოხრდა რამდენიმე კაფე-ბარი, ათეულობით ავტო მანქანა, ბევრმა ადამიანმა საავადმყოფოში ამოჰყო თავი, ხოლო დანით დაჭრილი ერთ-ერთი ინგლისელი ფანი სიცოცხლესაც გამოემშვიდობა. პოლიციამ დააპატიმრა განსაკუთრებით თავგამოჩენილი ფეხბურთის მოყვარული“.*

● ***ირანელმა*** *ფეხბურთელებმა იუგოსლაველებთან მატჩის წინ მთელი ღამე ლოცვაში გაატარეს. მიუხედავად ამისა, ალაჰის თაყვანისმცემლებმა მაინც წააგეს.*

● ***კლაუდიო რეინამ,*** *ლათინური წარმოშობის ამერიკელმა ნახევარმცველმა, რომელიც ბუნდესლიგაში გამოდის, გერმანელებთან მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ფოგთსის ბიჭებთან მოგება იანკების ძალებს აღემატებოდა. „ახლა მთავარია, 21 ივნისს ირანელები დავამარცხოთ და ბოლოს ეგებ იუგოსლაველებთან ფრეც გავახერხოთ“ – თქვა რეინამ.*

*მოამზადა*
*გია ახალაძემ*

# XVI მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში


ესპანეთი – ნიგერია
სუბისარეტას გამოუსწორებელი შეცდომა


ადეპოჯუმ გაათანაბრა...

(მეოთხე გვერდიდან)

იყო, ვინაიდან უფრო გამოცდილი ფეხბურთელები გვყავს, თანაც ისინი ძლიერ კლუბებში გამოდიან. პირველი ტაიმის შემდეგ, გასახდელში, ბიჭები შევაფუცხუნე – სამ ქულას თუ არ მოიპოვებთ, საერთოდ, თვალით არ დამენახოთ-მეთქი. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი შევინარჩუნეთ".

**მატჩი №12. ტულუზა. „სტად მუნისიპალი". 33.400 მაყურებელი**
**არგენტინა – იაპონია 1–0 (1–0)**

*არგენტინა:* რაია, ვივასი, სენსინი (შამოტი, 74), აიალა, ძანეტი, ალმეიდა, სიმეონე, ვერონი, ორტეგა, კ. ლოპესი (ბალბო, 62), ბატისტუტა.
*იაპონია:* კავაგუჩი, ნარაჰაში, აკიტა, იჰარა, სომა (ჰირანო, 86), იამაგუჩი,


ნიგერიელი ოლისეს მესამე გოლი

ნაკატა, ნანამი, ნაკაიამა (ვ. ლოპესი, 68), იო.
*გოლი:* ბატისტუტა (28)
*გააფრთხილეს:* იჰარა, ჰირანო
*მსაჯი:* მარიო ვან დერ ენდე (ჰოლანდია)

**მატჩის შემდეგ**

**ტაკეში ოკადა** (იაპონიის ნაკრების მწვრთნელი): „ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია, გოლის გატანა ვერ მოვახერეთ, თუმცა ამის არაერთი შესაძლებლობა გვქონდა. მონდიალის ფავორიტთან დავმარცხდით!"

**დანიელ პასარელა** (არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „მსოფლიო ჩემპიონატებზე პირველი მატჩების ჩატარება ყოველთვის ჭირს, გაიხსენეთ თუნდაც ჩვენი მარცხი კამერუნთან. იაპონიას კი ვაჯობეთ, მაგრამ მთლად კმაყოფილი მაინც არა ვარ, ზოგჯერ ბიჭებმა სათამაშო დისციპლინა არ დაიცვეს. პირველ ტაიმში ბატისტუტასა და ლოპესს გამოვყოფდი, მათ დიდი სამუშაო შეასრულეს".

**მატჩი №11. სენტ-ეტიენი. „ჟოფრუა გიშარი". 30 392 მაყურებელი.**
**იუგოსლავია – ირანი 1–0 (0–0)**

*იუგოსლავია:* კრალი, მირკოვიჩი, ჯოროვიჩი, იოკანოვიჩი, ბრნოვიჩი (სტანკოვიჩი, 50), იუგოვიჩი, მიატოვიჩი, სტოიკოვიჩი (კოვაჩევიჩი, 67), მიხაილოვიჩი, პეტროვიჩი, მილოშევიჩი (ოგნიენოვიჩი, 58)
*ირანი:* ნაკისა, მაჰდავიკია, ხაკპური, ბაგერი, ესტილი (მანსურიანი, 68), ალი დაეი, აზიზი, ნადირ ხანი, ზარინჩე, პაშაზადე, მინავანდ ჩალი

*გოლი:* მიხაილოვიჩი (72)
*გააფრთხილეს:* სტოიკოვიჩი, პეტროვიჩი
*მსაჯი:* ტეხადა ნორიეგა (პერუ)

**მატჩის შემდეგ**

**ჯალალ ტალიბი** (ირანის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „ჩემმა ბიჭებმა კარგად ითამაშეს და საუკეთესო თვისებები გამოავლინეს, ამიტომ წაგების მიუხედავად, კმაყოფილი ვარ. ჩვენთვის მსოფლიო ჩემპიონატი ამით არ დამთავრებულა. გველის კიდევ ორი ძნელი მატჩი – აშშ და გერმანია ზემოდან გვიყურებენ და ამისათვის დაისჯებიან კიდეც. „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე" ვიბრძოლებთ".

**სლობოდან სანტრაჩი** (იუგოსლავიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „პირველი ტაიმი ძალიან დაძაბული გამოდგა, ზოგიერთი ჩვენი ფეხბურთელი ნახევარი ძალით თამაშობდა – ვერ შეიგნეს, რომ მონდიალზე იოლი მატჩები არ არის. მეორე ნახევარში თამაში დავალაგეთ, მაგრამ გოლის გატანა მაინც ვერ შევძელი. შევეცდებით სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ და უფრო მომზადებულები შევხვდეთ სხვა მატჩებს."

**მატჩი №10. პარიზი: „სტად დე ფრანსი: 80 000 მაყურებელი**
**ჰოლანდია – ბელგია 0–0**

*ჰოლანდია:* ვან დერ საარი, სტამი, ნუმანი, ფ. დე ბური, ვინტერი, ზეედორფი (ბერგკამპი, 64), რ. დე ბური (იონკი, 80), კლუივერტი, კოკუ, ჯიმი (ზენდენი, 64), ოვერმარსი.
*ბელგია:* დე ვილდე, კრასონი (დეფლანდრე, 20), სტალენსი, ბორკელმანსი, ვან დერ ელსტი, ნილისი, ვილმოტსი, კლემენტე, ვერსტრატენი, ბოფინი, ოლივეირა (მპენზა, 60).
*გააფრთხილეს:* სტალენსი, დეფლანდრე
*გააძევეს:* კლუივერტი
*მსაჯი:* პ. კოლინა (იტალია)


„ბატი-გოლი"!

**მატჩის შემდეგ**

**ჟორჟ ლიკენსი** (ბელგიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „შესარჩევ ტურნირში ჰოლანდიელებთან ორჯერ დავმარცხდით, ახლა შური ვიძიეთ. შედეგით კმაყოფილი ვარ. კარგად ჩაერთო თამაშში შეცვლაზე შემოსული დეფლანდრე".

**იოჰან კრუიფი:** ჰოლანდიის ნაკრები ამ მონდიალზე ყველაზე დაბალანსებული გუნდია და ძლიერი ნახევარდაცვა ჰყავს. დარწმუნებული ვარ „ნარინჯისფერიანები" ნახევარფინალში გააღწევენ".

**მატჩი №9. ლიონი. „ჟერლანი". 37 588 მაყურებელი**
**მექსიკა – სამხრეთ კორეა 3–1 (0–1)**

*მექსიკა:* კამპოსი, სუარეს სანჩესი, დავინო, რამირესი, გარსია ასპე (ბერნალი, 72), ბლანკო, პარდო, ლარა, ერნანდესი, ლუნა (პალაესი, 46), ორდიალესი (არელანო, 46).
*სამხ. კორეა:* იუნგ კიმი, მინ ლი, კო, დო კუნ კიმი (ჩოი, 62), ნო (იანგი, 56), დო ჰუნ კიმი, ტაე კიმი, კო (სეოე, 72), სენგ ლი, ჰა, ჰონგი.
*გოლები:* 0-1 ჰა (29), 1-1 პალაესი (50), 2-1, 3-1 ერნანდესი (75,83)
*გააფრთხილეს:* მინ ლი, ორდიალესი, გარსია ასპე
*გააძევეს:* ჰა (30)

**მატჩის შემდეგ .**

**ბუნ კუნ-ჩა** (კორეის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „მარცხი განაპირობა პირველ ტაიმში ჰას გაძევებამ. ტაიმი ჩვენი უპირატესობით წარიმართა, ვინაიდან ფეხბურთელებმა ყველა ჩემი დავალება პირნათლად შეასრულეს. მას შემდეგ, რაც ცოტანი დავრჩით მინდორზე, ყველაფერი აირია და დავმარცხდით, შევეცდებით „ბელგიელებისა და ჰოლანდიელების წინააღმდეგ უკეთესად ვითამაშოთ".

**მანუელ ლაპუენტე** (მექსიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „კარგად მოვემზადეთ მონდიალისათვის. ამას პირველი მატჩის შედეგი მოწმობს. გუნდმა ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშა. პირველში შეცდომებს ვუშვებდით და მეტოქეს ბურთის თავისუფლად ტარების საშუალებას ვაძლევდით. მეორე ნახევარში ბიჭები დამშვიდნენ და საკუთარი თამაში „იპოვეს". მიხარია, რომ გვაქვს თამაშის გაძლიერების რეზერვი".

**მატჩი №8. ნანტი. „სტად დე ბოჟუარი". 39.000 მაყურებელი**
**ესპანეთი–ნიგერია 2–3 (1–1)**

*ესპანეთი:* სუბისარეტა, ფერერი (ამორი, 46), ი. კამპო, ალკორტა, სერხი, ლუის ენრიკე, ნადალი (სელადესი, 76), იერო, რაული, კიკო, ალფონსო (ეჩებერია, 57)
*ნიგერია:* რუფაი, ოპარაკუ (იეკინი, 70), ვესტი, ოკეჩუკვუ, ბაბაიარო, ფინიდი, ოლისე, ადეპოჟუ, ლავალი (ოკპარა, 90), ოკოჩა, იკპება (ბაბანგიდა, 84)
*გოლები:* 1-0 იერო (22), 1-1 ადეპოჟუ (26), 2-1 რაული (48), 2-2 ლავალი (73), 2-3 ოლისე (79)
*გააფრთხილეს:* ამორი, ნადალი, კამპო, ოკეჩუკვუ
*მსაჯი:* ესფანდიარ ბაჰარმასტი (აშშ)

**მატჩის შემდეგ**

**ხავიერ კლემენტე** (ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „ძნელია ასეთ მარცხს შეეგუო, არადა, ჩემპიონატისთვის კარგად მოვემზადეთ, არც ცუდად გვითამაშია... ახლა ყურების ჩამოყრის დრო არ გვაქვს. ჯგუფში დარჩენილ ორ მატჩს მხოლოდ მოგებაზე ვითამაშებთ. არ შემიძლია არ აღვნიშნო ნიგერიის გუნდის თავდადება. აფრიკელებმა ფიზიკურ მომზადებაში დაგვჯაბნეს, თანაც სუბისარეტამ სუსტად ითამაშა. ყველაფერმა ამან შედეგზე იმოქმედა".


იუგოსლავია – ირანი
ირანელი ალი დაეის (თეთრ მაისურში) მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია


ჰოლანდია – ბელგია
წამიც და კლუივერტს (ფოტოზე მარცხნივ) მინდვრიდან გააძევებენ

**ანდონი სუბისარეტა** (ესპანეთის გუნდის მეკარე): „აბა, რა ვთქვა. მეორე გოლი მთლიანად ჩემს სინდისზეა, გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი, რაც შეეხება მესამე გოლს, ამ ბურთის აღებაც შეიძლებოდა, სამწუხაროდ, დავაგვიანე... ახლა მთავარია დავმშვიდდე და მეორე მატჩისათვის მოვემზადო".

**სანდი ოლისე** (ნიგერიის ნაკრების მცველი): „როდესაც ესპანელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში წაიყვანეს, ფრე სანატრებელი გვქონდა. საბედნიეროდ, მეტოქე ტემპში აგვყვა და ჩვენც, უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით, თამაშში გარდატეხა შევიტანეთ. ჩემმა გოლმა გამარჯვება მოგვიტანა. ბევრჯერ გამიტანია ბურთი, მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი გოლი – არასოდეს".


მექსიკა – სამხ. კორეა
ერნანდესის აღტაცება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, განათლების, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროების, სამხედრო კომისარიატის, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის

# მ ი მ ა რ თ ვ ა

## სპორტის, განათლების, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ახალგაზრდობის საქმეთა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, სამხედრო კომისარიატებს

ძვირფასო მეგობრებო!

სპორტის საწყლოსნო სახეობები, განსაკუთრებით კი ცურვა, უდიდესი პოპულარობით სარგებლობს დედამიწის ყოველ კუთხეში. მილიარდობით ადამიანი სარგებლობს წყლით, როგორც ორგანიზმის გაკაჟების და გაჯანსაღების უებარი საშუალებით.

ცურვა დადებითად მოქმედებს ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად. ცურვა ქვეყნის შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, ცურვა — ჯანმრთელობა, სიხალისე, სიცოცხლეა. დღეს ჩვენს ქვეყანაში დიდ აღმშენებლობით საქმიანობას ეყრება საფუძველი, შენდება ახალი ქვეყანა თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო, ახალ ქვეყანას ჯანმრთელი, სიცოცხლისუნარიანი, შემოქმედი, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მარად მზადმყოფი ახალგაზრდობა სჭირდება, სპორტი, კერძოდ ცურვა, ახალგაზრდობის ჯანსაღი ცხოვრების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს.

ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ასე უხვად დააჯილდოვა ბუნებამ მზითა და წყლით, ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა ცურვის მასობრივ შესწავლას. მართალია, ჩვენ გვქონდა შესანიშნავი ტრადიციები, სპორტის საწყლოსნო სახეობებში — ცურვაში, წყალბურთში, წყალში ხტომასა და სინქრონულ ცურვაში — გვყავდნენ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები და მონაწილენი, იქმნებოდა და ეწყობოდა სპეციალიზებული ნაგებობები და საცურაო ადგილები, მაგრამ ცურვის მასობრივ შესწავლაში სერიოზული ხარვეზები იყო და დღევანდელი გადასახედიდან ეს კიდევ უფრო მწვავედ ჩანს.

ქვეყანაში არსებული 113 საცურაო აუზიდან, თითქმის არც ერთი არ მოქმედებს, განადგურებულია მდინარეებზე, წყალსატევებზე, ტბებსა და პლაჟებზე არსებული ცურვის შემსწავლელი ადგილები, ამდენად აღარ მიმდინარეობს ცურვის მასობრივი შესწავლა, განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდობაში. უაღრესად მწვავედ დგას ეს საკითხი ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებში გასაწვევ ახალგაზრდებს შორის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მომწიფდა ქმედით ღონისძიებათა გატარების დრო. ამჟამად ქვეყანაში საამისო პირობები და საშუალებანი გაჩნდა.

მოვიდა ზაფხული, ახალგაზრდობას უხმობს სპორტული მოედნები და სტადიონები, მდინარეები და წყალსაცავები, ჩვენ მაქსიმალური მზადყოფნით უნდა შევხვდეთ ახალგაზრდობის და, არა მარტო ახალგაზრდობის, დიდ სურვილს ***შეისწავლოს ცურვა, დაეუფლოს წყალზე გაჩერებას.*** ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ უახლოეს მდინარეებზე, წყალსაცავებზე, ტბებზე, პლაჟებზე, შეიქმნას თითოეულ მათგანზე ცურვის შესწავლის მიკრო სტრუქტურა — საცურაო ადგილი, გასახდელი, მომზადდეს ინსტრუქტორები. სამვილიშვილო საქმედ მიგვაჩნია წელსვე დაიწყოს ადრე არსებული საცურაო აუზების, საჭყუმპალაოების მარტივი ტიპის საცურაო ადგილების აღდგენა და ახლის მოწყობა, ადგილობრივი პირობებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებით.

თითოეული რეგიონისა და დასახლებული პუნქტისათვის უნდა შემუშავდეს კონკრეტული პროგრამა ცურვის მასობრივად შესწავლისათვის, ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით სპორტისა და განათლების ორგანოებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, სპორტულ საზოგადოებებს, სამხედრო კომისარიატებს, პროფკავშირებსა და მასმედიას. ყველა ჩვენთაგანს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია საქართველოს პრეზიდენტის ბატონ **ედუარდ შევარდნაძის** 1997 წლის 22 დეკემბრის ბრძანებულების „ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის განმტკიცებისა და განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავების შესახებ“ შესრულებაში.

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო. დეპარტამენტის თავმჯდომარე ქ. ასათიანი.**

**საქართველოს განათლების მინისტრი თ. კვაჭანტირაძე**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრი, სოფლად სპორტის აღორძინების ასოციაციის პრეზიდენტი ბ. გულუა.**

**საქართველოს სამხედრო კომისარი გენერალ-ლეიტენანტი ნ. თათარაშვილი**

**საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზ. გაიპარაშვილი**

**საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი გ. გოიაშვილი**

**საქართველოს მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ნ. გაგოშიძე**

# ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნის წესისა და ღვაწლმოსილ მოღვაწეთა სახელის უკვდავყოფისათვის

**წესრიგი ყველაფერშია საჭირო, თუნდაც იგი ადამიანთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნას ეხებოდეს. საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც უზომოდ აღინიშნება საიუბილეო თარიღები, წამბაძველობა ხშირად გულისწყრომასაც იწვევს მავანთა მხრიდან და იუბილეობანამ ერთგვარი შეჯიბრების ხასიათიც კი მიიღო. სამწუხაროდ, დადგენილი არ იყო სამოქალაქო თარიღების აღნიშვნის წესი და ღვაწლმოსილ მოღვაწეთა სახელის უკვდავყოფის ორგანიზაციული საფუძვლებიც, გაუთვალისწინებელი რჩებოდა საიუბილეო და ღირსსახსოვარი თარიღების საერთაშორისო, სახელმწიფოებრივი, ადგილობრივი და შემოქმედებითი მნიშვნელობა.**

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით:

**1. დაწესდა საერთაშორისო, სახელმწიფო და ადგილობრივი მასშტაბის თარიღების აღნიშვნის შემდეგი ვადები:**

ა) ღვაწლმოსილ მოღვაწეთა დაბადებიდან 50 წლის შესრულების შემდეგ ყოველ 10 წელიწადში ერთხელ;

ბ) ღვაწლმოსილ გარდაცვლილ მოღვაწეთა. დაბადებიდან 50 წლის შემდეგ ყოველ 25 წელიწადში ერთხელ;

გ) დაწესებულებების, უწყებების, საზოგადოებების საიუბილეო თარიღებისა — დაარსებიდან ყოველ 25 წელიწადში ერთხელ;

დ) საქართველოს ქალაქების დაარსების თარიღებისა — ყოველ 50 წელიწადში ერთხელ;

ე) სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი სხვა ღირსსახსოვარი თარიღები — ყოველ 50 წელიწადში ერთხელ.

2. ღირსშესანიშნავი თარიღები აღინიშნოს:

ა) საერთაშორისო მნიშვნელობის — საქართველოს პარლამენტის დადგენილებით ან საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით;

ბ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის — საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის — გამგებლის ან მერის განკარგულებით;

დ) შემოქმედებითი მნიშვნელობის — შესაბამისი შემოქმედებითი გაერთიანების გადაწყვეტილებით ან მისივე წარდგინების საფუძველზე საქართველოს კულტურის მინისტრის ბრძანებით.

3. სამართლებრივი აქტი ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნის შესახებ უნდა გამოიცეს თარიღის აღნიშვნამდე არა უგვიანეს ორი თვისა და იგი უნდა შეიცავდეს საიუბილეო ღონისძიებათა აღნიშვნასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებსაც.

4. საერთაშორისო და სახელმწიფო მასშტაბის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნისათვის საჭირო სახსრები გამოიყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

5. ადგილობრივი მნიშვნელობის თარიღები აღინიშნოს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე.

6. შემოქმედებითი თარიღები აღინიშნოს შესაბამისი შემოქმედებითი გაერთიანების სახსრებით.

ცალკეულ შემთხვევაში ესა თუ ის ღონისძიება შეიძლება დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც.

7. საერთაშორისო, სახელმწიფო და შემოქმედებითი ღირსშესანიშნავი თარიღების ერთიან წლიურ ნუსხას ადგენს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის შესაბამისი განყოფილება საქართველოს განათლების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიის, შემოქმედებითი კავშირებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარდგინებით. ნუსხა უნდა შეთანხმდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროსთან შესაბამისი წლების ბიუჯეტში გასათვალისწინებლად.

8. ღვაწლმოსილ მოღვაწეთა სახელის უკვდავყოფის მიზნით შესაძლებელია:

ა) დაარსდეს მემორიალური მუზეუმები, დაიდგას ძეგლები, ობელისკები, სხვა მემორიალური ობიექტები;

ბ) მოეწყოს გამოფენები, ფესტივალები, კონკურსები, სპორტული შეჯიბრებანი და სხვ.

გ) საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ქუჩებს, დასახლებულ პუნქტებს, ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტებს, გემებს, სამხედრო ნაწილებს მიეკუთვნოთ ღვაწლმოსილ მოღვაწეთა სახელი;

დ) განისაზღვროს დაკრძალვისა თუ გადმოსვენების ადგილი და წესი;

ე) დაწესდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებანი.

9. ორგანიზაციებისათვის ღვაწლმოსილი მოღვაწის სახელის მიკუთვნების საკითხს თავად ეს ორგანიზაციები წყვეტენ დამოუკიდებლად. ისინი უფლებამოსილნი არიან აღნიშნული საკითხი შეათანხმონ შესაბამის სამინისტროებთან, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10. მემორიალური მუზეუმების დაარსებას, ძეგლების, ობელისკების და სხვა ობიექტების დადგმას, ღვაწლმოსილ მოღვაწეთა დაკრძალვის ადგილის განსაზღვრასა და ქუჩისათვის მათი სახელის მიკუთვნებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო დადგენილი წესით, თუ კანონმდებლობით ან საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.

11. დასახლებული პუნქტებისათვის, ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტებისათვის, გემებისათვის, სამხედრო ნაწილებისათვის ღვაწლმოსილ მოღვაწეთა სახელის მინიჭება განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფესტივალების, გამოფენების, შეჯიბრებების, კონკურსებისათვის სახელის მიკუთვნებას ახორციელებენ შესაბამისი სამინისტროები ან შემოქმედებით კავშირები.

# სპორტი — ძალოვანი სტრუქტურების ძალა და საზრიანობა!





სახელმწიფო კანცელარიის სოციალური სფეროს რეფორმების ხელშეწყობისა და კულტურის განყოფილებისა და მეცნიერების განყოფილების ინიციატივით ძალოვან სტრუქტურათა ხელმძღვანელთა ხელშეწყობით და საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერით გამოიცა განკარგულება „საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების პირადი შემადგენლობების და სამხედრო მოსამსახურეთა 1998 წლის სპარტაკიადის მოწყობის შესახებ“.

სპარტაკიადაში მონაწილეობენ საქართველოს თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის ნაკრები გუნდები სპორტის ექვს სახეობაში.

სპარტაკიადა საზეიმოდ გაიხსნა გასულ ხუთშაბათს ბ. პაიჭაძის სახელობის თბილისის ეროვნულ სტადიონზე.

გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს შს მინისტრის მოადგილე ჯ. მიქელაძე და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კ. ასათიანი, საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა პრეზიდენტი მურთაზ მნათობიშვილი, სხვა ოფიციალური პირები.

— ძალოვანი სტრუქტურების პირადი შემადგენლობის სპარტაკიადის ჩატარებით ფაქტობრივად ახალი სპორტული ღონისძიება მკვიდრდება, რაც მნიშვნელოვანი მოვლენაა. საერთო მიზნისა და ამოცანისათვის ქვეყნის სამსახურში მდგარი სტრუქტურების წარმომადგენლების მეგობრობა ამიერიდან სპორტულ სარბიელზეც განმტკიცდება — უთხრა „ლელოს“ კორესპონდენტს სახელმწიფო კანცელარიის სოციალური სფეროს რეფორმების ხელშემწყობი განყოფილების რეფერენტმა ზაზა ინწკირველმა.

* * *

**დამთავრდა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, პოლიატლონსა და ბაგირის გადაძალვაში. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს:**

*ქართული ჭიდაობა:* **1. შსს, 2. თავდაცვის სამინისტრო, 3. სამთავრობო დაცვა. პირად პირველობაში გამარჯვებულები: გ. მაზმიშვილი (56 კგ, შსს), ი. მიშელაშვილი (60), ნ. ხერგიანი (64), მ. ფალაშვილი (68, სამივე – თავდაცვის სამინისტრო), ო. მეტრეველი (72, შსს), ს. იაშვილი (78, სამთავრობო დაცვა), გ. შარიაშვილი (84), ფ. ყავგილაშვილი (90), ა. დავითაშვილი (+90, სამივე – შსს).**

*პოლიატლონი:* **1. შსს – 616 ქ., 2. თავდაცვის სამინისტრო – 592 , 3. უშიშროების სამინისტრო – 553. პირად პირველობაში ადგილები ასე განაწილდა: 1. გ. ჩუტიკოვი (შსს) – 170 ქულა, 2. დ. დათუაშვილი (დაცვის სპეც. სამსახური) – 163, 3. ი. ნებიერიძე (თავდაცვის სამინისტრო) – 160.**

*ბაგირის გადაძალვა:* **1. შსს, 2. საზღვრების დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, 3. სახელმწიფო დაცვის სპეც. სამსახური.**

ჩოგბურთი ● საქართველოს ჩემპიონატი

# საზღვარგარეთ ასე ყოფილა, ჩვენ რაღა ვართ?..

უჩვეულო სურათი იყო ლელა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე, სადაც ქვეყნის მოზარდთა საზაფხულო ჩემპიონატი ჩატარდა სხვადასხვა ასაკში, სამსაჯო კოშკურაზე ჩვეულებრივ, სამსაჯო რეგალიებიანი თემიდის ნაცვლად, ორთაბრძოლიდან თავისუფალი თვით ტურნირის მონაწილეები ისხდნენ და მსაჯობდნენ კოლეგების შეხვედრებს. ასე ყოფილა საზღვარგარეთ, თვით მაკინროისაც მოურგია „მანტია“. ასპარეზობის პრიზიორები მხოლოდ თბილისელებია. **კვარცხლბეკი:** 80-81 წლებში დაბადებული ***გოგონები*** — 1. ეკა ქვანია, 2. ნინო ესებუა. 3. ნატო კაჭკაჭიშვილი; ***ჭაბუკები*** — 1. ნუკრი ცერცვაძე. 2. პრომეთეოს შევარდნაძე, 3. მიხეილ ჩადუნელი; 82-83 წ. დაბ. გოგონები — თამარ ზედგენიძე, 2. ანა ჩაჩუა, 3. ნინო ჭიჭინაძე; ***ჭაბუკები*** — 1. ოთარ ენუქიძე, 2. ანდრო თოლორაია, 3. კოკა ბურჭულაძე; 84-85 წ. დაბად. ***გოგონები*** — 1. ნინო ყავლაშვილი, 2. სოფიკო მელიქიშვილი, 3. ნინო მეტრეველი; ***ჭაბუკები*** — 1. ლაშა ჯანაშია, 2. გიორგი დათაშვილი, 3. დათო მეფარიშვილი;

**გივი ლუკაშვილი, სპორტის ოსტატი.**



# ბათუმში არ ივიწყებენ დევიზს „სპორტი — ყველასათვის!“

*ქართული სპორტის ისტორიაში აჭარა არაერთი სახელოვანი სპორტსმენითაა წარმოდგენილი, რომელთა მაგალითზე თაობები იზრდებოდნენ და იზრდებიან. სპორტში პირველ ნაბიჯებს ყველა თავისებურად დგამს. ამ პატარებმა კი ველოსიპედებზე ამხედრებულებმა განიცადეს თანატოლებთან სპორტული პაექრობის სიხარული, გამარჯვებულები და პრიზიორები კი აღტაცებულები იმითაც დარჩნენ, რომ საჩუქრად ველოსიპედები და პრიზები მიიღეს.*

*ბათუმში ნორჩ ველომოყვარულთა ეს შეჯიბრება სამ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. ღონისძიებების ორგანიზატორი იყო აჭარის სპორტის დეპარტამენტი (თავმჯდომარე თენგიზ ბოლქვაძე).*

*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო*

ეროვნული საფეხბურთო გუნდები, მწვრთნელები

# ოთარ კორდალიძე:

## ქართველი არმიელები განსხვავებულ ფეხბურთს ითამაშებენ...



*დაიბადა: 1959 წლის 2 იანვარს. პირველი მწვრთნელი კოტე ოდიკაძე. საფეხბურთო კარიერა: თბილისის „დინამო“, ლანჩხუთის „გურია“, თბილისის „ლოკომოტივი“, ავსტრიის, ესტონეთის გუნდები, ზუგდიდის „ოდიში“. ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.*

როგორც იქნა, არმიულმა გუნდმა მიაღწია საწადელს და წელს პირველად მოიპოვა უფლება იასპარეზოს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში. ასკ-ს ბოლოდროინდელ წარმატებებს, პირველ ყოვლისა, მის მთავარ მწვრთნელს ოთარ კორდალიძეს უკავშირებენ.

● ***აქტიურ ფეხბურთს რომ შეეშვით, როგორ წარიმართა თქვენი სამწვრთნელო კარიერა?***

– იქნებ ბევრმა არ იცის, რომ ჯერ კიდევ ტალინში ვასრულებდი მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციებს, „გურიაშიც“ გიგლა იმნაძესთან იგივეს ვასრულებდი და, შეიძლება ითქვას, გარკვეული გამოცდილება დამიგროვდა. ბოლოს მწვრთნელად რეზო გაგუასთან ერთად ვმუშაობდი „ნორჩ დინამოელში“.

● ***პირველ ჯგუფში გადასვლა დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებთ, რას გეგმავთ მომავალ სეზონში?***

– ახლა მთავარი მიზანი ჯგუფში დარჩენაა, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. ისე, გულშემატკივრებს ვპირდები, ჩვენი გუნდი საერთოდ განსხვავებული სტილით ითამაშებს და ამით ნამდვილად დავამახსოვრებთ ყველას თავს.

● ***გუნდში ალბათ კარდინალური ცვლილებების გატარებასაც აპირებთ...***

– საბოლოოდ ჯერ არ ჩამოვყალიბებულვართ, კლუბის ხელმძღვანელობასთან ამის თაობაზე კონკრეტული საუბარი ჯერ წინაა. მხოლოდ გეტყვით, რომ ოთხი ფეხბურთელი დატოვებს ასკ-ს და, ამდენივესთან, მოლაპარაკება მიმდინარეობს, მათი გვარების დასახელებისაგან თავს შევიკავებ.

● ***როდიდან დაიწყებთ ახალი სეზონისათვის მზადებას?***

– მოსამზადებელი ეტაპი ოთხ ნაწილად დავყავით. ჯერ თბილისში ჩავატარებთ შეკრებას, შემდეგ – ურეკში, მერე რამდენიმე დღით დავბრუნდებით თბილისში, ბოლოს კი გავემგზავრებით წყალტუბოში.

● ***არმიელთა კლუბში „ამინდს ვეტერანები ქმნიდნენ“ – ფანცულაია, თევზაძე, ფირცხალავა. რას ფიქრობთ სამომავლოდ?***

– მათი იმედი კვლავ გვაქვს, მაგრამ ასეთი დონის თამაში პირველ ჯგუფში საკმარისი არ იქნება, ამიტომ თავდაუზოგავად ვვარჯიშობენ.

● ***მეორე ჯგუფში გუნდის უპირატესობა საგრძნობი იყო. ახლა პასუხისმგებლობა გაიზარდა, გადალახავენ კი ფეხბურთელები ფსიქოლოგიურ ბარიერს?***

– ამ საკითხზე მიფიქრია. უცხოეთშიც და ჩვენშიც ახლად დაწინაურებული გუნდები, კვლავ დაბალ ლიგაში აღმოჩენილან, ძირითადი მიზეზი კი სწორედ თავდაჯერება ყოფილა. საერთოდ, როგორიც მწვრთნელები არიან გუნდში, ისეთი სამუშაო ხასიათი უყალიბდებათ ფეხბურთელებსაც. „თავში ავარდნა“ გუნდს, ადრე თუ გვიან, უთუოდ დაღუპავს. მეტი მობილიზაციაა საჭირო. ამასთან ბიჭებს ფსიქოლოგიურად მოვამზადებთ, რწმენას შთავუნერგავთ, რათა ისეთ ძლიერ გუნდებთან, როგორიცაა, ვთქვათ, თბილისის ან ბათუმის „დინამო“, შიშით არ ითამაშონ.

● ***მიუხედავად იმისა, რომ ასე დამაჯერებლად მოიპოვეთ პირველი ჯგუფის საგზური, ნაკლოვანებებსაც ალბათ გუნდში თქვენზე უკეთ ვერავინ ხედავს...***

– არ მინდა დავწვრილმანდე და ყველა რგოლზე ვისაუბრო. ერთია, რომ რასაც ვითხოვდი, ფეხბურთელები მაქსიმალურად ასრულებდნენ. კოლექტიურ თამაშს ვანიჭებ უპირატესობას, ანუ სამივე რგოლის ურთიერთდაზღვევას.

● ***პირველ ჯგუფში თამაშს სხვა ამბიციებით და მიზნებით რომ უნდა შეხვდეთ, ფაქტია, მაგრამ ავლაბრის სტადიონის მინდვრის საფარი არ არის იდეალურ მდგომარეობაში, იგივე ითქმის ტრიბუნებზე.***

– შარშან გაზონი უვარგისი იყო. ჩვენი ძალისხმევით, შედარებით, გავაუმჯობესეთ. ფედერაციამ გვთხოვა „მერანისა“ და „სიონის“ შეხვედრა აქ ჩატარებულიყო. სამწუხაროდ, მატჩი თავსხმაში ჩატარდა და მინდორი მთლად მწყობრიდან გამოვიდა. სპონსორები დახმარებას გვპირდებიან, ვნახოთ...

● ***თუ გიფიქრიათ, როგორ მწვრთნელთა რანგს მიეკუთვნებით?***

– ბუნებით ლმობიერი ვარ. კიდევაც გამიკვირდა, გუნდში სიმკაცრეს და დისციპლინას რომ ვცემ პატივს. ბიჭებმა იციან ჩემი მოთხოვნები: დაგვიანება, ვარჯიშის გაცდენა და გუნდიდან გაშვება ერთი იქნება. ჯერჯერობით ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, რაც ძალიან მსიამოვნებს. ჩემმა შრომამ, ამ თვალსაზრისით, ნაყოფი გამოიღო.

● ***თქვენი აზრით, რა უფრო მთავარია, პროფესიონალ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში, თანდაყოლილი ნიჭი თუ დაუღალავი შრომა?***

– მაინც შრომა. ამას ფაქტები მალაპარაკებს. ბევრი ფეხბურთელი მინახავს, ზოგი ახლაც აგრძელებს საფეხბურთო კარიერას, რომელსაც ნიჭი არ ჰქონია, მაგრამ დაუღალავი შრომის ხარჯზე მაღალი მიზნებისთვის მიუღწევია. რა თქმა უნდა, თუ ორივე კომპონენტი ჰარმონიულად იქნება შერწყმული, ამას რა სჯობს, მაგრამ ამდაგვარი ძალიან იშვიათია.

● ***მომავალში თუ გაქვთ განზრახული ფარმ-კლუბის, ან სულაც ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შექმნა?***

– ამ საკითხზე ვმუშაობთ. სასურველია ამ ეტაპზე ჩამოვაყალიბოთ ორი ბავშვთა გუნდი მაინც. რაც შეეხება ფარმ-კლუბს, აუცილებლად შევქმნით ახლო მომავალში.

● ***ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ პირველი ჯგუფის დონე ამაღლდება მონაწილე გუნდების შემცირების ხარჯზე?***

– განვლილი ჩემპიონატები რომ გავაანალიზოთ, დავინახავთ, რომ დონე ქვეითდება. გარკვეულწილად ალბათ, ესეცაა ჩვენი ფეხბურთელების მიგრაციის მიზეზი. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ამას ბოლო მოვუღოთ. გადაჭრით ვერ გეტყვით, გუნდების შემცირებით ამაღლდება თუ არა თამაშის დონე, მაგრამ 16 გუნდის მონაწილეობამ ხომ ცხადჰყო, რომ სასიკეთო ძვრები არ შეინიშნება, ახლა ვცადოთ გუნდების შემცირება. იქნებ ეს იყოს გამოსავალი.

● ***ჩვენში ახლა ფეხბურთის ფედერაციის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნების ციებ-ცხელებაა. ამჟამინდელი ფედერაციის მუშაობით კმაყოფილი თუ ხართ?***

– ამა თუ იმ სტრუქტურის მუშაობა მიღწეული შედეგის მიხედვით ფასდება. 9 წლის განმავლობაში, ფეხბურთის დონე თანდათან დაეცა, სასიკეთო ძვრები არ შეინიშნება, ფედერაციის ნაკლოვანებებზე და უნიათო საქმიანობაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. რაც შეხება ჩემს შეხედულებას, თუ ვინ მესახება ღირსეულ პრეზიდენტად – ალბათ, მაინც ალექსანდრე ჩივაძეს გამოვყოფდი. მას საამისო დიდი გამოცდილება აქვს. მაგრამ ქართული ფეხბურთი აღმავლობის გზაზე ისე არ წავა, თუ მან კარდინალური ცვლილებები არ გაატარა ფედერაციაში, ერთი სიტყვით, „რევოლუციაა“ საჭირო.

● ***დღევანდელ ახალგაზრდა თაობაზე რა აზრის ბრძანდებით?***

– ქართველებს ფეხბურთის სიყვარული და ნიჭი, რომ იტყვიან, აკვნიდან მოსდევთ და ეს თაობა გამონაკლისი რატომ იქნება? პირიქით, მეტი თუ არა, ნაკლებნი ნამდვილად არ არიან. მათ უნარი შესწევთ დასახული მიზნების მისაღწევად. კარგად ვიცნობ 1980-81 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა შესაძლებლობებს. არიან ნიჭიერებიც, მაგრამ პირობები არ გააჩნიათ. 35-ე სპორტსკოლამ დიდი საქმე გააკეთა, როცა მოედანზე ხელოვნური საფარი დააგო. იქნებ „დინამოს“ სპორტსკოლამაც იფიქროს ანალოგიურ საფარზე ფარმ-კლუბების შექმნაზე. ბავშვი სპორტულ სკოლას რომ დაამთავრებს, ფარმ-კლუბში გადავა, მიიღებს გამოცდილებას და დიდი ფეხბურთის თამაშისათვის საჭირო ანბანს შეისწავლის. აი, ეს სტრუქტურა ბავშვთა აღზრდა-ჩამოყალიბებისა, დასახვეწი კი არა, საერთოდ გადასამუშავებელია. მომავალი თაობა, დარწმუნებული ვარ, მიუხედავად პირობების არქონისა, მაღალ მწვერვალებს დაიპყრობს. განსაკუთრებით შესანიშნავი მწვრთნელების ვახტანგ კოპალეიშვილისა და რეზო გაგუას აღზრდილების მისამართით ვამბობ. ხოლო ბავშვთა ფეხბურთში იმ მტკივნეულ საკითხს, რასაც გადაზრდილები ჰქვია, ამდაგვარი ფაქტები ყოველთვის არა, მაგრამ, ყოფილა. ის მწვრთნელი, ვინც ამდაგვარ საქციელს ჩაიდენს, მკაცრად უნდა დაისაჯოს, საერთოდ, მოიკვეთოს ფეხბურთიდან, მისმა ასეთმა მოქმედებამ, შეიძლება, თვითონ ის გადაზრდილი მოზარდი „გატეხოს“ სულიერად.

● ***ხომ არაფერს დაამატებდით?***

– მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო, უდიდესი საფეხბურთო ზეიმი, რომელშიც ჩვენი პლანეტის უძლიერესი ფეხბურთელები მონაწილეობენ. მისი დამთავრება – ჩვენს პირველ ჯგუფში სეზონის გახსნას დაემთხვევა, ასე რომ, დავაკვირდები ყველა გუნდს, მათ მწვრთნელებს, ბევრ სიახლეს გავეცნობი...

**ბონა ლომიძე**

---

რეპლიკა

### შეიბრალეთ ქუთაისელი გულშემატკივრები!

**კვირას, 21 ივნისს, ქუთაისის გივი კილაძის სახელობის სტადიონზე ადგილობრივი „ტორპედო“ ინტერტოტოს თასზე სომხეთის საფეხბურთო კლუბ „ერებუნს“ შეხვდება. არ ვიცით, რითი ხელმძღვანელობდნენ ქალაქის ფეხბურთის მესვეურები, როდესაც გამოიტანეს გადაწყვეტილება მატჩის 17 საათსა და 30 წუთზე დაწყების თაობაზე, ეს კია, რომ სწორედ ამ დროს გულშემატკივრებს შესაძლებლობა ეძლევათ ტელევიზიით იხილონ მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი საინტერესო, გერმანია – იუგოსლავიის შეხვედრა (16.30 სთ). ორი კურდღელი რომ ერთად მოვკლათ, საკმარისია ქუთაისური მატჩის დაიწყოს ერთი საათით გვიან. ასეთ შემთხვევაში, დარწმუნებული ვართ, სტადიონზე „ტორპედოს“ საქომაგოდ მეტი მაყურებელი შეიკრიბება.**

---

# დაინტერესებული და ნეიტრალური თვალით

**ოლივერ ბირჰოფი – ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის გმირი – რას ფიქრობს იგი ახლანდელ მსოფლიო პირველობაზე?**

● ***თქვენ ერთი ხელის დარტყმით მოიხვეჭეთ სახელი – როცა ევროპის პირველობაზე ჩეხებთან ორი გოლი გაიტანეთ. შეგიძლიათ ასეთივე სახელი მსოფლიო ჩემპიონატზეც მოიპოვოთ?***

– თუ ვერ შევძელი, მაშინ ამას რომელიმე ჩემი ამხანაგი მაინც მიაღწევს. ძლიერი ნაკრები გვყავს, იმაზე უარესი არა, რაც ორი წლის წინათ იყო. ყველას ბულგარელებთან მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე წაგების რევანშის აღება გვსურს.

● ***არც ისე დიდი ხნის წინათ გერმანიამ დაამტკიცა კიდეც თავისი ძალა, როცა კოლუმბიას მოუგო 3-1. მაშინ ორი გოლი გაიტანეთ.***

– ეს არ იყო ძალის დემონსტრაცია. ის ორი გოლი იოლად, სულ 15 წუთში გავიტანე. ისეთი გუნდი, როგორიც კოლუმბიაა, შეგვიძლია ძალების დაუძაბავად დავამარცხოთ. მაგრამ ახლა უფრო ძლიერ მეტოქეებთან გვაქვს საქმე.

● ***მაგალითად, იუგოსლავიას?***

– ჯგუფურ ტურნირზე არ ვლაპარაკობ, რომელსაც იმედია, შედარებით იოლად გავივლით. მთავარი შემდეგ დაიწყება. ჩვენი პროგრამა – მინიმუმ ფინალში გასვლა.

● ***ვინ მიგაჩნიათ მთავარ მეტოქედ?***



– ისინი რამდენიმეა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორი წყვილები წარმოიქმნება ჯგუფური ტურნირების შემდეგ. ადრინდელი ტურნირების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იღბალი დიდად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ, არანაკლები, ვიდრე ოსტატობის დონე. შეიძლება უხერხული მეტოქე შეგხვდეს და „გამოვარდე“, მაშინ, როცა სხვას იოლად მოუგებდი. თუმცა ეს ანბანური ჭეშმარიტებაა.

● ***და მაინც რომელია ის გუნდები, ჩემპიონობაზე რომ აცხადებენ პრეტენზიას?***

– გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, არგენტინა, ბრაზილია. იტალიელებს ნუ ჩავთვლით. ამ ქვეყანაში ვთამაშობ და შემიძლია ჩეზარე მალდინის ნაკრების ძალა რეალურად შევაფასო. ვხედავ, ისინი უძლიერეს ნაკრებებს მეტოქეობას ვერ გაუწევენ, თუმცა, 1982 წელს თუ გავიხსენებთ, ისინი ზოგჯერ ნელ-ნელა უმატებენ და თითქოს ჩოქვით, მაგრამ მაინც აღწევენ ფინალამდე.

● ***იქნება თუ არა ამ ჩემპიონატში სიურპრიზები?***

– არა მგონია. უკანასკნელ წლებში ფეხბურთი იოლად გამოსაცნობი გახდა. იგებენ მხოლოდ აშკარა ფავორიტები, რომლებზეც წინასწარ ამყარებენ იმედებს. ძალიან საწყენია, ასე ხომ ყოველგვარი ინტერესი იკარგება. ამიტომაც ძალიან მინდა, რომ ამჯერად ვინმემ რაიმე რევოლუციური შემოგვთავაზოს. თუმცა ამისი ცოტა იმედია.

* * *

**თომას რაველი წინა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, ახლა პირველობას შორიდან უყურებს. შვეციის ნაკრებმა ხომ საფრანგეთის საგზური ვერ მოიპოვა.**

● ***როგორ ფიქრობთ, ვინ მოიპოვებს ჩემპიონობას?***

– ძნელი კითხვაა. შეუძლებელია სრული დარწმუნებით იმაზე ლაპარაკი, თუ რომელ ნაკრებს ექნება იდეალური მზადყოფნა მთელი ამ 4 კვირის მანძილზე. პირადად მე ფავორიტების რიცხვს ბრაზილიელებს, ფრანგებს, გერმანელებს, იტალიელებსა და ინგლისელებს მივაკუთვნებ.

● ***ვინ გინდოდათ, რომ ჩემპიონი გამხდარიყო?***

– ის, ვინც მოიერიშე, შედეგიან ფეხბურთს გვიჩვენებს.

● ***როგორც სკანდინავი, რას იტყვით ნორვეგიელებსა და დანიელებზე? რომელია მათ შორის უფრო ძლიერი?***

– ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. დანიელები სამხრეთევროპელებისათვის დამახასიათებელი მანერით თამაშობენ – მინდვრის შუაგულში მოკლე გადაცემებით. ნორვეგიელები გრძელ გადაცემებს, სწრაფ, შემტევ თამაშს ამჯობინებენ ისევე, როგორც ინგლისში. შემთხვევითი როდია, რომ ამ ქვეყანაში ამდენი ნორვეგიელი ლეგიონერია. იმედი მაქვს, რომ ეს გუნდები მსოფლიოს პირველობაზე კარგ შედეგებს მიაღწევენ.

● ***უკანასკნელ ხანებში ბევრს ლაპარაკობენ აფრიკის წარმომადგენლებზე. აქვს თუ არა რომელიმე მათგანს დიდი წარმატების მოპოვების შესაძლებლობა?***

– სამწუხაროდ, აფრიკულ ფეხბურთს მაინცდამაინც კარგად არ ვიცნობ. შესაძლოა, რომელიმე მათგანმა მედლებისათვის ბრძოლაშიც კი მიიღოს მონაწილეობა. ბევრი აფრიკელი ფეხბურთელი ხომ ევროპის წამყვან კლუბებში გამოდის.

● ***შეგიძლიათ დაასახელოთ მსოფლიოში უძლიერესი თავდამსხმელი?***

– ასე პირდაპირ უძლიერესის დასახელება, ცოტა არ იყოს, მიჭირს, მაინც გამოვყოფ ტრიოს ბრაზილიიდან – რონალდოს, დენილსონს და რომარიოს. სამწუხაროა, რომ რომარიო ამჯერად ჩემპიონატში არ მონაწილეობს. გარდა ამისა, დავასახელებდი ინგლისელ ალან შირერს.

● ***ახლა იგივეს გკითხავთ მეკარეების შესახებაც. ვინ სჯობს: სიმენი, კეპკე, ლამა, ბარტეზი თუ პერუცი?***

– მიჭირს მათი თამაშის შეფასება, იმიტომ, რომ საკმაოდ იშვიათად ვნახულობ. ყველა ეს მეკარე ძალიან კარგია, დიდი პირადი ღირსებებიც აქვთ.

● ***რა თავისებურება ახასიათებს მეკარის თამაშს?***

– უპირველეს ყოვლისა, უნდა გრძნობდე, რომ იგივე ხარ, რაც ლიბერო, უკანასკნელი მცველი, რომ შენს უკან უკვე აღარავინ არის. თამამად უნდა ითამაშო მეკარის მოედანზე, 11-მეტრიანის სიახლოვეს. ასეთ შემთხვევაში მეკარეს უადვილდება დარტყმის მოგერიება. მთავარი კი ის არის, რომ შეგეძლოს ყოველთვის სწორი ადგილის შერჩევა, რათა შემდეგ მეკარის ოსტატობის საოცრებანი აღარ გამოავლინო. ზოგჯერ ისიც კი აღარ გიშველის...

# ისევ „ხარები“



ჯორდანი



კუკოჩი



პიპენი

*სოლტ ლეიქ სიტიში „იუტა ჯაზმა“ მიიღო „ჩიკაგო ბულზი“. მოგების შემთხვევაში „ხარები“ ნბა-ს ჩემპიონები ხდებოდნენ. შეხვედრის დასაწყისში ჩიკაგოელთა ერთ-ერთმა ლიდერმა სკოტი პიპენმა ფეხი დაიზიანა და სრული ძალით ველარ ითამაშა. ბოლო მატჩები სუსტად ჩაატარა სკოტის თანაგუნდელმა, გიგანტმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ლუკ ლონგმაც, ხოლო „ჯაზისტებთან“ შედარებით სათადარიგოთა სკამი „ხარებს“ მოკლე აქვთ. და აი, მაიკლ ჯორდანი ფაქტიურად მარტო გაუმკლავდა „იუტას“ (45 ქულა შესძინა თავის გუნდს) და ბოლო წამებზე კარლ მელოუნს წაართვა ბურთი და გამარჯვების 2 ქულა მოიპოვა – 87:86. ჩიკაგოელები მეექვსედ გახდნენ ნბა-ს ჩემპიონები ბოლო 8 წელიწადში.*

**მოამზადა გია ახალაძემ**

# „ტოტო-ლოტო“ – მოთამაშეთა სიხარული!

*14 ივნისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის მეშვიდე გათამაშებით.*

**«ლოტო 6–42»**-ის ტირაჟში მონაწილეობდა **47793** ვარიანტი, საპრიზო ფონდი შეადგენდა **5974** ლარს.

მოგებახვედრილი რიცხვები: **6. 11. 20. 24. 38. 39.**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. ამ ჯგუფის გაუთამაშებელი საპრიზო ფონდი 40.717 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.

5 ციფრი ამოიცნო ორმა მოთამაშემ. თითოეულს – 947.20 ლარი.

4 ციფრი ამოიცნო 83-მა მოთამაშემ, თითოეულს – 14.30 ლარი.

3 ციფრი ამოიცნო 1092-მა მოთამაშემ, თითოეულს – 1.90 ლარი.

**„სუპერ-7“**-ის გათამაშებაში მონაწილეობდა **5508** ბილეთი, მომგებიანი ციფრებია: **6310014**

3 ციფრი დაემთხვა 9 ბილეთში, თითოეულს – 50 ლარი.

2 ციფრი – 41 ბილეთში, თითოეულს – 3 ლარი.

1 ციფრი – 481 ბილეთში, თითოეულს – 0.50 ლარი.

ტირაჟის სატელევიზიო შოუში გათამაშდა შემდეგი პრიზები:

პრიზი ერთოთახიანი ბინა – ლევან კოტრიკაძე (თბილისი);

პრიზი (550 ლარი) – ბეჟან გორგაძე (თბილისი);

პრიზი მიკროტალღური ღუმელი – ვალერი დანდურაშვილი (თბილისი);

პრიზი წვენის სახდელი – ალეკო ელბაქიძე (რუსთავი);

გენერატორი – სოსო გამყრელიძე (თბილისი);

მუსიკალური ცენტრი – გელა სამუკაშვილი (თბილისი);

ტელევიზორი – ნინელი ჭანკვეტაძე (თბილისი).

გათამაშდა აგრეთვე ელექტრო და აუდიო ტექნიკა.

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 21 ივნისს, ჯეკ-პოტი **40717** ლარია.

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

# ჭადრაკის ამბები

## ხურციძე – ლომინეიშვილი 2,5:1,5

როგორც ცნობილია, საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით ჩვენი ქვეყნის ქალთა ოლიმპიურ ნაკრებში პერსონალურად მიწვეული არიან მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, დიდოსტატები ნანა იოსელიანი და ქეთევან არახამია. რჩება კიდევ ერთი, სათადარიგო ადგილი. მისთვის ფედერაციის გადაწყვეტილებით, დიდოსტატებმა ნინო გურიელმა, ნინო ხურციძემ და მაია ლომინეიშვილმა უნდა იბრძოლონ.

გაიმართა 4-პარტიიანი მატჩი ხურციძესა და ლომინეიშვილს შორის. სამი პარტიის შემდეგ ანგარიში იყო 1,5:1,5. მეოთხე გადამწყვეტ პარტიაში შავებით გაიმარჯვა ხურციძემ, რომელმაც, მოიგო კიდეც მატჩი ანგარიშით 2,5:1,5.

## 67 წლის კორჩნოიმ...

... გაიმარჯვა პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ბოსნიისა და ჰერცოგოვინის დედაქალაქ სარაევოში მოეწყო 10 ცნობილი დიდოსტატის მონაწილეობით.

როგორც ყოველთვის, ვიქტორ კორჩნოიმ მეტად ენერგიულად და შეუპოვრად ითამაშა. მე-15 კატეგორიის ამ შეჯიბრებაში მან მოიგო 6 პარტია, ორი ყაიმით დაასრულა და მხოლოდ ერთი წააგო, 7 ქულით 9 შესაძლებლიდან მან პირველი ადგილი დაიკავა, რაც ამ ასაკის მოჭადრაკისათვის, ცხადია, სარეკორდო მიღწევაა.

მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ივან სოკოლოვი (ბოსნია და ჰერცოგოვინა), რომელიც ახლა მუდმივად ჰოლანდიაში ცხოვრობს. მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს კირილ გეორგიევმა (ბულგარეთი), რომელიც ამას წინათ იღბლიანად გადაურჩა ელისტასთან მომხდარ ავტოკატასტროფას, და ევგენი ბარეევმა (რუსეთი). მათ 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს.

## გაზეთ „კომერსანტის“ ცნობით

როგორც გაზეთი „კომერსანტი“ იუწყება, მოსკოვის სამხედრო ოლქის სასამართლომ რუსეთის ფეხბურთელთა და მწვრთნელთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს ბადრი კვინიკიძეს მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა გამომძალველობისათვის.

# სხვადასხვა მერიდიანზე



**ჰოკეი.** გაიმართა ნჰლ-ის ფინალური სერიის მესამე შეხვედრა, სადაც ლარიონოვისა და ფიოდოროვის „დეტროიტ რედ ვინგზმა“ 2:1 სძლია „ვაშინგტონ კაპიტალზს“ და სერიაში დაწინაურდა (3:0). შარშანდელ „სტენლის თასის“ მფლობელებს ერთი მოგებაღა აკლიათ მიზნის მისაღწევად.



**ჩოგბურთი.** საკვალიფიკაციო რეიტინგით უიმბლდონის ტურნირის წინ ვაჟთა შორის მსოფლიოს პირველი ჩოგანი კვლავ ამერიკელი პიტ სამპრასია, მეორეა ჩილელი მარსელო რიოსი, მესამე – ჩეხი პეტერ კორდა, მეოთხე – ინგლისელი გრეგ რუზედსკი. ქალებში პირველია შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი, მეორე – ამერიკელი ვანესა უილიამსი, მესამე – შვეიცარიელი იანა ნოვოტნა, მეოთხე – გერმანელი შტეფი გრაფი.

**მოამზადა გია ახალაძემ**

# სპორტი ცისფერ ეკრანზე



**17 ივნისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** შოტლანდია – ნორვეგია (II ტაიმი, განმ., 12.15); ბრაზილია – მაროკო (II ტაიმი, განმ. 13.10); ***I არხი, II არხი, იბერია, TV-7, საქართველოს ხმა, OPT-1. PTP.*** ჩილე – ავსტრია (19.20); იტალია – კამერუნი (22.50). ***OPT-1*** „პარიზული ტაიმები“ (2.30); რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი: „ტორპედო“ – „სპარტაკი“ (19.00). ***НТВ.*** „საფეხბურთო კლუბი“ მსოფლიო ჩემპიონატზე (1.10). ***НТВ плюс спорт.*** „საფეხბურთო კლუბი“ მსოფლიო ჩემპიონატზე (7.45). ჰოკეი (9.30; 18.30). საცხენოსნო სპორტი (12.35; 23.10). ფიგურული ციგურაობა (1.05). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (9.00; 9.30; 10.00; 10.30; 12.00; 14.00; 15.00; 19.00; 19.20; 21.30; 1.00; 3.00). ჩოგბურთი (16.30). ველოსპორტი (18.00).

**18 ივნისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩილე – ავსტრია (II ტაიმი, განმ. 12.15); იტალია – კამერუნი (II ტაიმი, განმ., 13.30); ***I არხი, II არხი, იბერია, TV-7, საქართველოს ხმა, OPT-1, PTP.*** სამხრეთ აფრიკა – დანია (19.20); საფრანგეთი – საუდის არაბეთი (22.50). ***PTP.*** ნბა-ს ჩემპიონატი. ფინალი (1.15). ***НТВ.*** „საფეხბურთო კლუბი“ მსოფლიო ჩემპიონატზე (1.50). ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილები (7.05; 15.10). „საფეხბურთო კლუბი“ მსოფლიო ჩემპიონატზე (7.55; 18.30). ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი (8.15). საცხენოსნო სპორტი (13.10; 23.15). ფიგურული ციგურაობა (20.00). კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (21.15). ჩოგბურთი (1.10). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (9.00; 9.30; 10.00; 10.30; 12.00, 14.00; 15.00; 21.30; 22.30; 22.50; 1.00; 3.00). ჩოგბურთი (16.30; 19.00). ველოსპორტი (18.00). ბოულინგი (20.30).

**19 ივნისი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** სამხრეთ აფრიკა – დანია (II ტაიმი, განმ., 11.15); საფრანგეთი – საუდის არაბეთი (II ტაიმი, განმ., 15.15). ***I არხი, II არხი, იბერია, TV-7; საქართველოს ხმა, OPT; PTP.*** ნიგერია – ბულგარეთი (19.20); ესპანეთი – პარაგვაი (22.50). ***НТВ плюс спорт.*** საჭადრაკო გაკვეთილები (7.05; 15.10). „საფეხბურთო კლუბი“ მსოფლიო ჩემპიონატზე (9.10; 18.30). ჰოკეი (9.30; 19.30; 0.55). საცხენოსნო სპორტი (12.35; 23.00). კროკეტი (17.45; 0.10). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (9.00; 9.30; 10.00; 10.30; 12.00; 14.00; 15.00; 19.00; 21.30; 22.30; 1.00; 3.00). ჩოგბურთი (16.30). ველოსპორტი (18.00).

# იუმორი



უსიტყვოდ...

# რა არ ხდება ქვეყანაზე

## შორს «ჯადო»... კარიდან

მოზამბიკის მთავრობამ ოფიციალური ბოდიში მოუხადა მეზობელ ზიმბაბვეს ქვეყანას. საქმე ის იყო, რომ მაპუტუში მასპინძელთა „ფეროვიერა“ დამარცხდა ზიმბაბვეს „დინამოსთან“ და გამოითიშა აფრიკის ჩემპიონთა ლიგიდან. დამარცხებულთა გულშემატკივრებმა ღრიანცელით აიკლეს იქაურობა, რომ სტუმრების მეკარეს ხელთათმანებში რაღაც თილისმა-ჯადო აქვს ჩაქსოვილიო. სხვაგვარად იგი ვერ აიღებდა 11-მეტრიანსა და მთელ რიგ ძლიერად დარტყმულ ბურთებსო. ისინი მინდორზე გადაცვივდნენ და მუშტი-კრივით არკვევდნენ მეკარესა და მოთამაშეების „ჯადოსნურ უძლეველობას“. ჩხუბსა და აყალმაყალში 15 კაცი დაზარალდა, მათ შორის პოლიციელიც.

# კროსვორდის მაგიერ

*ფოტოებზე აღბეჭდილნი არიან საფრანგეთი-98-ის მოთამაშენი. ამოიცანით მათი ვინაობა. ვინც პირველი წარმოადგენს სწორ პასუხს რედაქციაში (პარასკევს, 19 ივნისს, 12 საათამდე), საჩუქრად მიიღებს ტოტო-ლოტოს 50 ბილეთს და გამარჯვებულის ვინაობა გამოქვეყნდება გაზეთში.*



1



2



3



4

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საფეხბურთო კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ჯორკაეფი, 6. სიჭინავა, 8. ამოკაჩი, 12-14, ფაშანუ, 14. უგრინი, 18-19. კლოსი, 19. იმელი, 20. ბლანი, 21. კოისი, 22. „გლორია“, 25. კანიჯა, 28. ვიჩგე, 31. რიდლე, 33-34. კონტი, 34. ერერა, 37-38. არტიმე, 38. ერანიო, 39. გარინჩა, 42. იუგოვიჩი, 43. გასკონი. **შვეულად:** 2. ბრიტო, 3. ნესტა, 5. ჯეჯელავა, 7. აკპობორი,9. კაუზიო, 10-23. ფალკაო, 11-27. ანტიჩი, 13-24 ამორი, 15-26. რიერა, 16. ბრიგელი, 17. მაკარტი, 23. ოსკარი, 24. იონკი, 26. არენა, 27. იტალია, 29. ჩარლტონი, 30. ლებეფი, 32. დალგლიში, 40. რაიტი, 41. ნეგრო. **ირიბად:** 1. მაკელელე, 4. დონადონი, 35. ბუტუსოვი, 36. ბალაკოვი.

# საჭადრაკო ამოცანა

რ. ბაიერი (რუსეთი)



შამათი 5 სვლაში

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ლh4!
1. ...fe 2. ლd8X.
1. ...მფ:e5 2. ლ:f6X.
1. ...b5 2. მ:c6X.
1. ...c5 2. კc3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშელი